



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ნანუკა თეგეტაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

თამარ ებრალიძე

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი.....	10
2.1. დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის არსი	10
2.2. მოქმედების და უმოქმედობის ერთმენთისაგან გამიჯვნა	11
2.3. უმოქმედობა მოქმედებით	13
2.4. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია	15
2.5. მცდელობა შერეული უმოქმედობის დროს	21
2.6. განზრახი დამთავრებული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა შერეული უმოქმედობის დროს	23
2.7. განსაცდელში მიტოვება	25
2.8. დაუხმარებლობა	37
თავი III. კვლევის შედეგები.....	48
დასკვნა	53
გამოყენებული ლიტერატურა	56

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე და 129-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების - განსაცდელში მიტოვებისა და დაუხმარებლობის იურიდიულ ანალიზს. ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის პირველ თავში მოცემულია მასზე მუშაობის პროცესში გამოყენებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა და მათი მნიშვნელობა თემის სრულყოფილად დამუშავებისთვის. მეორე თავი ეხება კვლევის ძირითად ნაწილს, სადაც განხილულია თემის აქტუალობა და სტრუქტურა. ძირითადი ნაწილი შედგება ცხრა ქვეთავისგან. მათში გაშუქებულია შემდეგი საკითხები: დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის არსი; მოქმედებისა და უმოქმედობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა; უმოქმედობა მოქმედებით; სამართლებრივი გარანტის ფუნქცია; დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის საკითხები წმინდა და შერეული უმოქმედობის დროს; განზრახი დამთავრებული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა; განსაცდელში მიტოვებისა და დაუხმარებლობის შემადგენლობათა დახასიათება ობიექტური და სუბიექტური ნიშნების მიხედვით. ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება კვლევის შედეგებს, სადაც მოცემულია ავტორის დამოკიდებულება თემასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხებისადმი.

Annotation

The master's thesis is deals to the legal analysis of the crimes under the Articles of 128 and 129 of the Criminal Code of Georgia - Abandoning in distress and Refusal to assist. The paper consists - introduction, three chapters and conclusion. The list of references is indicated at the end of the paper. First chapter provides brief review of the literature used in the process of working and their importance for the perfect processing of the topic. Second chapter deals with the main part of the research, where the actuality and structure of the topic are are discussed. The main part consists of nine subsections. They cover the following issues: the essence of committing a crime by inaction; Separating action and inaction from each other; Inaction by action; Legal guarantor function; Issues of crime preparation and attempted real and mixed inaction; the intent to commit an intentional crime; Characterization of abandonment and non-assistance components according to objective and subjective signs. Third chapter devoted to the results of the research, where the author's attitude towards the problematic issues related to the topic.

შესავალი

სისხლის სამართლის კანონდებლობა აწესებს პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც შეიცავს დანაშაულის ისეთ ნიშნებს, რომელიც საშიშია საზოგადოების ნორმალური არსებობისა და განვითარებისათვის, მაგრამ კანონი მხოლოდ ქმედების დანაშაულებრიობით არ შემოიფარგლება, დანაშაულია ასევე უმოქმედობა, რომელსაც არანაკლებ სავალალო შედეგამდე მივყავართ. შესაბამისად კანონი კრძალავს როგორც აქტიური მოქმედებით მიზეზობრიობის დაფუძნებას, დანაშაულის აქტიური ქმედებით ჩადენას, ასევე მოითხოვს სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი მიზეზობრიობის ჯაჭვში აქტიური მოქმედებით ჩართვას და სამართლებრივი სიკეთისათვის საფრთხის თავიდან აცილებას. სისხლის სამართლის კანონი მოიცავს არა მხოლოდ აკრძალვებს არამედ განსაზღვრული ქმედების განხორციელების ვალდებულებასაც. კანონი ადამიანისაგან მოითხოვს დეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ სხვა ადამიანს, უზრუნველყოფს თავისი მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა წრის უსაფრთხოება და თავიდან ააცილოს ზიანი სამართლებრივ სიკეთეს.¹

უმოქმედობის დელიქტი განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა, სისხლის სამართლის კოდექსის XXI თავშია მოცემული, აღნიშნული თავი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის დანაშაულებს აერთიანებს.

საკვლევი თემის აქტუალობა. აღნიშნული დანაშაული აქტუალურია იქიდან გამომდინარე, რომ ის დღეს არ აღმოცენებულა გასული საუკუნიდან დღემდე აქტიური ნორმაა. ის თავისი შინაარსით და დეტალებით დღემდე საკამათოდ ითვლება. როდესაც მიმდინარეობს მსჯელობა პრობლემური საკითხების შესახებ, სამეცნიერო წრეებში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთხმად შეჯერებული აზრი ამა თუ იმ საკითხზე.

ნაშრომი მიზანი და ამოცანა. კვლევის მთავარი მიზანი და ამოცანაა სსკ-ის 128-ე და 129-ე მუხლების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი. მასზე არსებული სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, მათი განზოგადებისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე.

კვლევის მეთოდი. ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი ნიშნების და ამოცანების გადასაჭრელად საჭირო გახდა გამომეყენებინა ისტორიული, შედარებითი და სტატისტიკური კვლევის მეთოდები. აღნიშნული მეთოდების საშუალებით, შესაძლებელი გახდა მეტნაკლებად საკვლევი თემის გარშემო ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბება იმ ძირეულ საკითხებზე, რომელიც საბაზისო ცოდნად შეიძლება მივიჩნიოთ განსაცდელში მიტოვებასა და დაუხმარებლობის შესახებ.

¹ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი; დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, წიგნი II თბ., 2011, გვ 281.

ახლა გადავალ უშუალოდ დეტალებზე თუ რა წვლილი შეიტანა თითოეულმა მათგანმა კვლევის პროცესში. „ისტორიული“ კვლევის მეთოდმა საშუალება მომცა გასული საუკუნის პრობლემა დამენახა მთელი თავისი მნიშვნელობით, მომეცა შესაძლებლობა, რომ გავცნობოდი რომის სტატუტის მაგალითებს და ერთმანეთისათვის შემედარებინა იმ დროის და დღევანდელი რეალობის კანონმდებლობის მოთხოვნები და გამოწვევები. „სტატისტიკური“ მეთოდის მეშვეობით წარმოდგენა შემექმნა დანაშაულის ზოგად მაჩვენებელზე, თუ რა მონაცემებთან გვაქვს საქმე. სწორედ ამიტომ მოვიძიე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული ყოველთვიური სტატისტიკა და გამოვიყენე ნაშრომში. შემდეგი კვლევის მეთოდი ეს არის „შედარებითი“ კვლევის მეთოდი რომლის მეშვეობითაც საშუალება მქონდა შემედარებინა ჩვენი და უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, შემესწავლა საკითხი პრაქტიკული მაგალითების დახმარებით და გამომეყენებინა ნაშრომში თემის სრულფასოვნად გასაანალიზებლად. ჩემს მიერ გამოყენებული მეთოდების მეშვეობით შევძელი გამეაზრებინა თუ რა არის სსკ-ის 128-ე და 129-ე მუხლის მთავარი აზრი და დანიშნულება, მომეპოვებინა სრული ინფორმაცია და მეწარმოებინა სიღრმიესული ანალიზი.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ჩემს მიერ განხილული თემა განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა ეხება ისეთ მნიშვნელოვან ფასეულობას, როგორცაა ადამიანის დახმარება, თანადგომა, საჭიროების დროს სოლიდარობა და ჰუმანურობა. კანონის ამოსავალი დებულება და მისი შექმნის უმთავრესი მიზანი უმაღლესი ღირებულების, ადამიანის კეთილდღეობისა და მისი სოცოცხლის სადარაჯოზე დგომაა. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩემს მიერ წარმოდგენილი საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან იგი ეხება ყოველ მოქალაქეს სქესის, ასაკის, სტატუსისი და სხვადასხვა განმასხვავებელი მახასიათებლების მიუხედავად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გადავწყვიტე საკვლევ თემატიკად სწორედ განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა წარმომედგინა. ამისათვის საჭირო გახდა გამეკეთებინა დეტალური ანალიზი. სწორედ ამიტომ მოვიძიე სხვადასხვა ავტორთა შრომები, რომელთა მეშვეობით გავეცანი მათ ნააზრევს, რამაც მომცა შესაძლებლობა სხვადასხვა კუთხიდან დამენახა სსკ-ის ნორმები, განსაცდელში მიტოვებისა და დაუხმარებლობის სამართლებრივი შინაარსი. ამასთან მომეცა შესაძლებლობა გამენალიზებინა მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

უმთავრესად გავეცანი სისხლის სამართლის კოდექსის XXI თავს, სადაც მოცემულია 128-ე და 129-ე მუხლების დებულება, თუ რა არის განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა და რა ფორმით ავალდებულებს კანონმდებელი ყველა მოქალაქეს დაემორჩილოს კანონს.

თემაზე მუშაუბისას დიდი დახმარება გამიწია ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხის ნაშრომმა, „დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები“. აღნიშნულ წიგნში ყველაზე მნიშვნელოვანი და უპირველესი პრობლემა, რომელიც წარმოჩინდა, არის საკითხის იმის შესახებ, რომ მოქმედება და უმოქმედობა ადამიანის ქცევის ორი სხვადასხვა ფორმაა, თუ ისინი ქმედების საერთო გვარეობით ცნებაში ერთიანდება.

აგრეთვე გავეცანი ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს (Österreichisches Strafrecht Allgemeiner Teil), სადაც მოვიძიე, რომ უმოქმედობით ჩადენილი დელიქტი იმავე ზოგადი სტრუქტურით ხასიათდება, როგორც მოქმედებით ჩადენილი.²

მნიშვნელოვანია აგრეთვე ო. გამყრელიძის „სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, რომლის მიხედვითაც მოქმედების უმოქმედობისაგან განსხვავებისას ყურადღების ცენტრშია არა მარტო სხეულებრივი მოძრაობის არსებობა-არარსებობა, არა მხოლოდ ქმედების ემპირიული

² <https://link.springer.com/content/pdf/bbm%3A978-3-7091-0728-7%2F1.pdf> . უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.04.2020;

შინაარსი, არამედ მისი სოციალური მნიშვნელობის შეფასება, გასაკვიცხაობის არსი. ე. ი ნორმატიული მომენტი.

საინტერესო ინფორმაცია მივიღე მ.ტურავას სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოდან, სადაც განხილულია სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის წარმოშობის საფუძვლები, ამასთან სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა ე. წ. ფუნქციონალური მოძღვრება, რომელიც სამართლებრივი გარანტიის ფუნქციას ორ ჯგუფად ყოფს.

მოვიძიე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, რომლის მეშვეობითაც შევძელი გავცნობოდი არა მხოლოდ დღევანდელ კანონმდებლობას, არამედ გასული წლების მიდგომებსა და დამოკიდებულებებს საკვლევი თემის გარშემო.

პროფესორ თ. წერეთელის მონოგრაფიაში „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“, დეტალურადაა განხილული განსაცდელში მიტოვების და დაუხმარებლობის ჩადენის შესაძლებლობანი, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული დანაშაულის მომზადება და მცდელობა, როდის იძენს დანაშაული დასრულებულ სახეს.

თ. წერეთლისა და გ. ტყემელაძის ნაშრომმა „მოდვრება დანაშაულზე“ მომცა შესაძლებლობა დეტალურად გავცნობოდი უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხს, რომელიც სისხლის სამართლის აქტუალურ პრობლემად ითვლებოდა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. შესაბამისად დისკუსიები უმოქმედობის მიზეზობრიობასთან დაკავშირებით უკვე ას წელზე მეტია მიმდინარეობს.

გავეცანი ზ. მჟავანაძის მოსაზრებას შემდეგ ნაშრომში: “სისხლის სამართლის კერძი ნაწილის კომენტარები“, სადაც საუბარია დანაშაულის ჩამდენი პირის დამოკიდებულებაზე მის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან მიმართებით. დამნაშავის შეგნებულ მიდგომას დაზარალებულის წინააღმდეგ.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ყოველი თემის კვლევის დროს, უპირველესია მეცნიერული ანალიზი, სხვადასხვა ავტორის ნააზრევი, მათი შედარება ერთმანეთთან და სწორი შეხედულების ჩამოყალიბება საკვლევი თემის ირგვლივ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა პრაქტიკული ნაწილი. სწორედ ამიტომ მოვიძიე სასამართლო პრაქტიკის კომენტარები, რამაც მომცა შესაძლებლობა უფრო სრულფასოვანი გამეხადა ჩემი ნაშრომი. ჩემს მიერ შეკრებილი მაგალითები საშუალებას იძლევა თეორიული ნაწილის შეჯამების შემდგომ, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ნათელი სურათი შეიქმნას განსაცდელში მიტოვებასა და დაუხმარებლობის ნამდვილ არსზე. ამას გარდა მოვიძიე უცხო ქვეყნების მაგალითები, რაც დამეხმარა იმაში, რომ პარალელი გამეგლო საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების

კანონმდებლობებს შორის. სწორედ ზემოთ აღნიშნულის ფონზე მარტივი წარმოსადგენია, თუ რას მოიცავს თავის თავში განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა.

საკვლევი თემის გარშემო არ არსებობს ერთხმად ჩამოყალიბებული აზრი გარკვეულ დეტალებთან დაკავშირებით. მეცნიერთა ნაწილი არ ეთანხმება მეორე ნაწილს და სწორედ ამიტომ ყოველ მათგანს აქვს საკუთარი შეხედულება აღნიშნულ ნორმებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ კვლევის პროცესი იყო საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი, აქედან გამომდინარე გარკვეული კითხვები გამიჩნდა მოცემული საკითხის გარშემო. ამ ფაქტმა მომცა შესაძლებლობა, რომ ჩემი ხედვა დამეფიქსირებინა პრობლემურ საკითხებზე.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის არსი

უმოქმედობა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილშია მოცემული და ის განმარტებულია შემდეგნაირად „უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული“.³

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი წმინდა უმოქმედობის სწორედ რომ დაუხმარებლობაა, რომლის მიხედვითაც პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმისთვის, რომ მან დახმარება არ აღმოუჩინა აღნიშნული საჭიროების მქონე ადამიანს. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგება თუ არა. შედეგის დადგომა, კონკრეტულად კი ადამიანის სიკვდილი არაა შემადგენლობის ნიშანი, ის სასჯელის დანიშვნისას პასუხიმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა.⁴

ზემოთ აღნიშნული მუხლის მიხედვით საფრთხის თავიდან აცილებისათვის ან მავნე შედეგის თავიდან არიდებისათვის სისხლის სამართლის წესით პასუხს მხოლოდ ის ადამიანი აგებს, ვისაც გარანტის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. ⁵

საკითხი იმის შესახებ, მოქმედება და უმოქმედობა ადამიანის ქცევის ორი სხვადასხვა ფორმაა, თუ ისინი ქმედების საერთო გვარეობით ცნებაში ერთიანდება, სისხლის სამართლის თეორიაში კლასიკურ სადავო პრობლემას მიეკუთვნება.⁶

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2020 წლის მდგომარეობით.

⁴ ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხი; დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, წიგნი II თბ., 2011, გვ 282.

⁵ იქვე გვ 282.

⁶ იქვე გვ 282.

2.2. მოქმედებისა და უმოქმედობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა

დანაშაულებრივი მოქმედების უმოქმედობისაგან გამიჯვნა რთული საკითხია არა მარტო სისხლის სამართლის თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც, რადგანაც დანაშაულის მოქმედებით ჩადენის წინაპირობები დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის წინაპირობისაგან განსხვავდება. მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისთვის ნებისმიერი პირი ისჯება, შერეული უმოქმედობისას კი მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის პირობების არსებობისას, მხოლოდ გარანტი აგებს პასუხს, ამიტომაც იმის დადგენა, პირმა მოქმედებისთვის უნდა აგოს პასუხი თუ უმოქმედობისთვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.⁷

ქმედების ამ ორი სახის ერთმანეთისაგან გასამიჯნად იურიდიული ლიტერატურაში მრავალი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებაა გამოთქმული. დოგმატიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ქმედების განსახორციელებლად ენერგიის დაძაბვისას მოქმედობასთან გვაქვს საქმე, ენერგიის გამოუყენებლობისას კი უმოქმედობასთან. აღნიშნული თეორია არც ისე მყარია, რადგან მას მოქმედებით ჩადენილი უმოქმედობის არსის ახსნა არ შეუძლია.⁸

არსებობს მოსაზრება, რომ მოქმედების და უმოქმედობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხი კონკურენციის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. მოქმედება-უმოქმედობის კომბინაციისას ორივეს არსებობა უნდა დადასტურდეს და შემდეგ უპირატესობა მოქმედებას უნდა მიენიჭოს. მოქმედების უმოქმედობისაგან გამიჯვნისას ეჭვის შემთხვევაშიც მოქმედებას უნდა მიეცეს უპირატესობა. ეს შეხედულება უმოქმედობის სამართლებრივი ფიგურის გაუქმებამდე მიგვიყვანდა, რადგან უმოქმედობა ხშირ შემთხვევაში მოქმედებას უკავშირდება, უმოქმედობა, როგორც წესი, სრული პასიურობა არაა. მაშინ როდესაც კანონი მოითხოვს პირისაგან მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილების მოთხოვნას, იგი შეიძლება რაიმე ნეიტრალურ მოქმედებას ახორციელებდეს. თუ მსხვერპლი იხრჩობა, როდესაც გარანტი მდინარის ნაპირას შემას აპობს, სამართლებრივი შეფასების აქცენტს შეშის დაპობაზე ვერ გადავიტანთ, რადგან შედეგი იგივე იქნებოდა, გარანტი მდინარის ნაპირას მზის აბაზანას რომ იღებდეს და საერთოდ არ მოძრაობდეს. მოქმედების მხოლოდ ემპირიული შეფასებისას უმოქმედობის სისხლისამართლებრივი ფიგურა საერთოდ დაკარგავდა მნიშვნელობას.⁹

⁷ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი; დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, წიგნი II თბ., 2011, გვ 287.

⁸ იქვე გვ 287.

⁹ იქვე გვ 287.

უმოქმედობასთან დაკავშირებით საინტერესოდ მსჯელობს ი. დვალაძე: იგი ერთი მხრივ, უმოქმედობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობად მიიჩნევს საფრთხის შემქმნელ წინარე გაუფრთხილებლობით ქმედებას და უმოქმედობის მიზეზობრიობას გამორიცხავს წინარე განზრახვი ქმედების შემთხვევაში, ხოლო მეორე მხრივ, უმოქმედობით განხორციელებულ დანაშაულად მიიჩნევს შემდეგ შემთხვევას: `ა. ავტომობილით განზრახ დაეჯახება ფეხით მოსიარულეს, მაგრამ შემდეგ აღმოაჩენს, რომ დაზარალებული ფეხმძიმე ან არასრულწლოვანია.¹⁰ ი. დვალაძის შეხედულებას თუ გავიზიარებთ, ქმედება ასეთ დროს უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა წინააღმდეგობაში მოდის განზრახვის შინაარსთან. მთავარია, რომ დამნაშავეს ქმედების განხორციელების დროს ჰქონდეს შეგნებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების არსებობა. ქმედების განხორციელებაში ამ შემთხვევაში იგულისხმება ავტომანქანის განზრახ დაჯახება.¹¹

¹⁰ ი. დვალაძე; შერეული უმოქმედობის დასჯადობის ზოგიერთი პრობლემა სისხლის სამართალში, „ცხოვრება და კანონი“, 2012, სპეციალური გამოშვება, ჟურნალი მიემდგნა ო. გამყრელიძის 80 წლის იუბილეს, გვ. 25

¹¹ თ. ცქიტიშვილი; ადამიანის სიცოხლისა და ჯანმთელობისათვის საფრის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2014, გვ 33.

2.3. უმოქმედობა მოქმედებით

სისხლის სამართლის დოგმატიკაში დღესაც საკამათოდ ითვლება საკითხი, დახმარების გაწევა პირისათვის ყოველთვის უმოქმედობად ითვლება, თუ სხეულებრივი ენერჯის გამოყენების გამო ეს ქმედებანი უნდა ჩაითვალოს აქტიურ მოქმედებად. მაგ: პირი ჩაკეტავს ჭიშკარს და არ შეუშვებს ეზოში უცხო ადამიანს, რომელსაც მოსდევს გაავებული ძაღლი. ამ ქმედებისთვის პირი უნდა დაისაჯოს დაუხმარებლობისათვის, რადგანაც იგი არ არის გარანტი უცხო კაცის. თუმცა მეცნიერების ნაწილი ამ შემთხვევას სხვანაირად ხედავს და მასში მოიაზრებს სხეულებრივ მოქმედებას, რადგანაც პიროვნებამ გადაკეტა ჭიშკარი და მიიჩნევენ, რომ მოქმედებით ჩადენილ დანაშაულთან გვაქვს საქმე და არა უმოქმედობასთან.¹²

მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როდესაც პირი ხელს შეუშლის აქტიურად საკუთარ მოქმედებას, რომლითაც მას შეეძლო აეცილებინა დანაშაულებრივი შედეგი, იქნება ეს ქმედება თუ უმოქმედობა. მაშინ, როდესაც დაზარალებულს არ გასჩენია ჯერ რეალური შანსი გადარჩენის, დახმარების შეწყვეტა უმოქმედობად უნდა დაკვალიფიცირდეს. მაგ: პიროვნება დასახჩობად განწირულს გადაუგდებს მაშველ რგოლს, მაგრამ ის სანამ რგოლს ხელს ჩასჭიდებს, უკან ამოიღებს და შედეგად მსხვერპლი წყალში დაიხჩობა. აღნიშნული შემთხვევა სწორედ რომ წარმოადგენს დაუხმარებლობას, ის რომ მან სამაშველო რგოლი გადაუგდო წყალში მყოფ პიროვნებას, ისე უნდა იქნას გაგებული, თითქოს ეს საერთოდ არ გაუკეთებია.¹³

სადაც საკითხი იმის შესახებ, ექიმის მიერ გადარჩენის შანსს მოკლებული პაციენტისათვის სამედიცინო აპარატის გამორთვა მოქმედებად ითვლება თუ უმოქმედობად.¹⁴ ექიმის ქმედების შეფასებისას ისაა გადაწყვეტი, რომ იგი აპარატურის გამორთვით უარს ამბობს პაციენტის მკურნალობაზე. აქ ადგილი აქვს ექიმის მხრიდან მკურნალობის გაგრძელებაზე უარს ანუ უმოქმედობას და არა მოქმედებას. ასევე ლიტერატურაში პარალელურად ავლებენ დასაღუპად განწირული პირისათვის ყოველგვარი ტექნიკის გარეშე ექიმის მიერ განხორციელებული დახმარების შეწყვეტასა და აპარატის გამორთვას შორის. ექიმი თუ შეწყვეტს პირველად სამედიცინო დახმარებას, მისი ქმედების სოციალური არსი იქნება უმოქმედობა. ამგვარად უნდა შეფასდეს ექიმის მიერ დახმარების შეწყვეტა იქ, სადაც პირის გადამრჩენ ჯაჭვში მიზეზობრიობაა

¹² ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, წიგნი II, თბ., 2011, გვ 290.

¹³ იქვე გვ 290;

¹⁴ იქვე გვ 293; მჭედლიშვილის განმარტება- Schönke/Schröder-stree, vor §Rn.13/Rn. 160m.w.N München 2007.

ჩართული. იმის მიუხედავად, რომ ექიმი იქნება ეს თუ მისი დავალებით სამედიცინო პერსონალი ძაბავს ენერგიას ქმედების განსახორციელებლად, აღნიშნული მაინც უნდა შეფასდეს უმოქმედობად. მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ მაგალითად სამედიცინო აპარატს გამორთავს პაციენტის ახლობელი და არა ნათესავი? ამ დროს ადგილი აქვს მოქმედებას, გამომდინარე იქიდან, რომ პაციენტის ახლობელს მისი სამედიცინო მომსახურება არ ავალთ ექიმისაგან განსხვავებით. ამ დროს პირი სხვა პირის მიერ დაფუძნებულ გადამრჩენ მიზეზობრიობას ხელს უშლის.¹⁵

¹⁵ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი; დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, წიგნი II თბ., 2011, გვ 295;

2.4. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია

პირის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ანუ ე. წ. სამართლებრივი განარტის ფუნქცია შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან, ახლო ნათესაური უერთიერთობიდან, მეხანძრისა და სხვა სპეციალობის ადამიანთა პროფესიული მოვალეობიდან, დახმარება აღმოუჩინოს განსაცდელში მყოფ პიროვნებას, მოუაროს ინვალიდს, მოხუცს, ავადმყოფს, ბავშვს და ა.შ.¹⁶

სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარდა ე.წ. ფუნქციონალური მოძღვრება, რომელიც სამართლებრივი გარანტის ფუნქციას ორ ჯგუფად ყოფს ამის მიხედვით არსებობს:

ა) განსაცდელში მყოფი პირის დაცვის მოვალეობა იმ პირის მხრიდან, ვისაც აქვს ასეთი დაცვის მოვალეობა;

ბ) საფრთხის წყაროს მხრიდან მომდინარე საფრთხის აღკვეთის მოვალეობა იმ პირის მხრიდან, ვისაც ევალება ამ საფრთხის თავიდან აცილება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა გულისხმობს არა მხოლოდ სამართლებრივი გარანტის მოვალეობის წარმოშობას განსაცდელში მყოფი პირის მიმართ, არამედ საფრთხის წყაროს მიმართ ასეთივე მოვალეობის არსებობას.¹⁷

გარანტის ფუნქცია სხვა საოჯახო ურთიერთობებიდანაც წარმოიშობა, იქნება ეს ცოლ-ქმარს თუ ოჯახის სხვა წევრებს შორის. თუ ცოლ-ქმარი ჩვეულებრივ ერთად ცხოვრობს, მაშინ ისინი ერთმანეთის სამართლებრივი გარანტები არიან, მაგრამ თუ ეს კავშირი მხოლოდ ფორმალურია და ისინი ერთად აღარ ცხოვრობენ, მაშინ ურთიერთზრუნვის დავალდებულება ზედმეტია.¹⁸

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სრულწლოვანი შვილების საკითხი. ერთი მოსაზრებით, მშობლების ზრუნვის ვალდებულება მათ მიმართ სრულწლოვანების მიღწევით მთავრდება, მეორე მოსაზრებით კი ეს ასაკზე არ არის დამოკიდებული. შედარებით შუალედური პოზიციით, ზრუნვის ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ სრულწლოვანი შვილები მშობლებთან რჩებიან საცხოვრებლად და ერთიან ოჯახს ქმნიან მსგავსი სურათია ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებთან მიმართებაშიც.¹⁹

ოჯახურ ურთიერთობებში სამართლებრივი გარანტის ფუნქცია ასევე შეიძლება გამომდინარეობდეს სამოქალაქო კოდექსისა და აგრეთვე იმ ბუნებრივი ოჯახური

¹⁶ მ. ტურავა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; მე-9 გამოცემა; თბ., 2013, გვ 286.

¹⁷ იქვე გვ-278.

¹⁸ ბ, ჯიშკარიანი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ., 2016, გვ 12

¹⁹ იქვე გვ- 123.

ურთიერთობებიდან, როგორცაა ახლო ნათესავეებს შორის. მაგ: როცა, მამა და შვილი მდინარეში ერთად ბანაობენ, მათ აქვთ ურთიერთდახმარების მოვალეობა. ერთგვარად საკამათოა ასეთი მოვალეობის არსებობა მაშინ, როცა ახლო ნათესავეებს შორის აშკარად არ არის გამოკვეთილი კეთილგანწყობა.²⁰

არსებობს გარკვეული სოციალური ჯგუფი ადამიანების, რომელთაც განსაცდელის დროს უჩნდებათ ურთიერთდახმარების ვალდებულება, მაგალითად მთამსვლელებს. რაც შეეხება საერთო საცხოვრებელში ცხოვრებას ან საბინაო კოოპერატივში ამ დროს არ წარმოიშობა სამართლებრივი გარანტის ფუნქცია განსაცდელში ყოფნის დროს. განარტის ფუნქცია შეიძლება შეიძინოს პირმა ფაქტობრივი ვითარებიდან ან ხელშეკრულებიდან. სამართლებრივი გარანტის ფუნქციის შეუსრულებლობის დროს პირი შესაძლებელია განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალის არარსებობის გამო როდესაც ის აღმოჩნდება მოვალეობათა კოლიზიის მდგომარეობაში. ამ დროს მის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობა მისატყვებელ (საპატიებელ) გარემოებად იქნება გათვალისწინებული (სსკ-ის 38 მუხლიდან გამომდინარე).²¹

რაც შეეხება წინარე მოქმედებას, წინარე მოქმედება პირს აკისრებს სამართლებრივი გარანტის ფუნქციას. ნებისმიერი წინარე მოქმედება ყოველთვის არ წარმოშობს დახმარების სამართლებრივ ვალდებულებას. საინტერესო საკითხია, წარმოეშობა თუ არა პირს სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, ქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, აუციელებელი მოგერიების შედეგად? სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს განსხვავებული შეხედულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმოშობისას, მთავარია, პირმა თავისი წინარე მოქმედებით გამოიწვია საფრთხე. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა წინარე მოქმედება იყო მართლზომიერი თუ მართლსაწინააღმდეგო, ამასთან წინდახედულების ნორმის დარღვევით თუ მისი დაცვით შესრულებული.

მ. ტურავა მსჯელობს პრობლემურ საკითხზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მოვალეობათა ისეთი კოლიზიის დროს, როცა სამართლებრივი გარანტი მიიღებს გადაწყვეტილებას, არ შეასრულოს გარანტის ფუნქცია. მაგ: ქმარი გადაწყვეტს არ გადაურჩინოს სიცოცხლე განსაცდელში მყოფ მეუღლეს და ამის

²⁰ მ. ტურავა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; მე-9 გამოცემა; თბ., 2013, გვ 278.

²¹ იქვე გვ 279;

ნაცვლად შეასრულოს ე. წ. თავისი სოლიდარული მოვალეობა - სიცოცხლე გადაურჩინოს უცნობ ახალგაზრდას, რომელიც ზღვაში იხრჩობა.²²

ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, წარმოდგენილ მაგალითში განვითარებული ქმედება მართლზომიერია, მაგრამ არსებობს სხვაგვარი შეხედულება რომლის მიხედვითაც, იგი მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პირმა ასეთ დროს უპირველესად, უნდა შეასრულოს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, რომელსაც ენიჭება პრიორიტეტი სოლიდარულ მოვალეობასთან შედარებით.²³

თ. წერეთლის თვალსაზრისით, მოქმედების მოვალეობა წინარე არაბრალეული ქმედებითაც შეიძლება წარმოიშვას. მაგალითად: კარგი მცურავი შეაგულიანებს ცუდ მცურავს ზღვაში საცურაოდ, თანაც პირდება, რომ საჭიროების შემთხვევაში დახმარებას აღმოუჩენს. იმ მომენტში, როცა ცუდი მცურავი განსაცდელში აღმოჩნდა, კარგი მცურავი თავისი უდარდულობისა და უპასუხისმგებლობის გამო იმდენად შორს იყო ცუდი მცურავისგან, რომ თავის ამხანაგს დახმარება ვერ აღმოუჩინა.²⁴ ამ მაგალითში დადებითი მოქმედება (ცუდი მცურავის შეგულიანება) ჩადენილია არაბრალეულად, რადგან კარგ მცურავს გულწრფელად სურდა თავის ამხანაგს დახმარებოდა. ხოლო ბრალეულ ქმედებას დახმარების აღმოუჩენლობის მომენტში ახორციელებს.

რაც შეეხება ნ. თოდუას დამოკიდებულებას გარანტიის ფუნქციისადმი მისი შეხედულებით, მაშინ, როცა მძლოლი ადამიანს დაეჯახება, მაგრამ არაბრალეულად, მძლოლს უჩნდება მხოლოდ სოლიდარული მოვალეობა განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის მიმართ. მისი მოსაზრებით, მძლოლმა სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია რომ შეიძინოს, საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა: ა) მძლოლმა თავისი ქმედებით უნდა შექმნას სამართლებრივად დასაძრახი რისკი; ბ) ეს რისკი უნდა გადაიზარდოს მართლსაწინააღმდეგო შედეგში (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში). თოდუას შეხედულებით, მძლოლის არაბრალეულმა მოქმედებამ თუ ჩააგდო ადამიანი განსაცდელში და თუ იგი დაჯახების შემდეგ არ დაეხმარება განსაცდელში მყოფს, მძლოლს პასუხისმგებლობა საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით კი არა, არამედ 129-ე მუხლით უნდა დაეკისროს.²⁵

ნ. თოდუას არ ეთანხმება თ.წულაძე და ამბობს, რომ აღნიშნული მოსაზრება არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. მძლოლი სამართლებრივი მოვალეობის სუბიექტად უნდა იქნეს

²² მ. ტურავა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; მე-9 გამოცემა; თბ., 2013, გვ 281.

²³ იქვე გვ 281.

²⁴ თ. წერეთელი; სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 286.

²⁵ ნ. თოდუა; წიგნი: გ. მამულაშვილი; (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-4 გამოცემა, თბ., 2012, გვ. 15.

მიჩნეული, მიუხედავად იმისა, ის მოქალაქეს ბრალეულად დაეჯახება თუ არა. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ განსაცდელში ადამიანი მძლოლის იმ მოქმედების შედეგად ვარდება, რომელიც შეიძლება სამართლებრივად დასაძრახი არ არის, მაგრამ სოციალური რისკის შემცველია. ასეთ დროს არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, მოქმედებდა თუ არა მძლოლი ბრალეულად. მაშინაც არ შეიძლება გამოირიცხოს მძლოლის სამართლებრივი მოვალეობა, როცა შეჯახება ქვეითად მოსიარულის, დაზარალებულის ბრალით მოხდება.²⁶

აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს თ. წერეთელიც. მაგალითად, მძლოლი ღამით დაეჯახა გზაზე ფეხით მოსიარულე მთვრალ კაცს და გზაზე მიატოვა, რადგან პასუხისმგებლობის შეეშინდა. მანქანის დაჯახებაში მძლოლს ბრალი არ მიუძღოდა, უბედური შემთხვევა გამოწვეული იყო თვით დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობით. მაგრამ მძლოლის უდანაშაულო მოქმედებამ შექმნა დაზარალებულის სიკვდილის საშიშროება. თ. წერეთლის მოსაზრებით, ასეთი საფრთხის შექმნა თუნდაც მძლოლის არაბრალეული ქმედებით, ავალდებულებდა მას გადაუდებელი დახმარება აღმოეჩინა დაზარალებულისთვის, წაეყვანა იგი საავადმყოფოში, გამოეძახა სასწრაფო დახმარება და ა. შ. თუ მძლოლი მსგავს ვითარებაში დაზარალებულს დახმარებას არ აღმოუჩენს და მას შედეგად დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება, მძლოლმა პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ უმოქმედობისთვის, არამედ დამდგარი შედეგისთვისაც.²⁷

არსებული საკითხის მიმართ საკუთარ შეხედულებას გამოთქვამს ბ.ჯიშკარიანიც, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: წინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სხვა პირის დაზიანების შემთხვევაში მის მიმართ წარმოიშობა გარანტის ვალდებულება. მაგალითად, როდესაც მძლოლი მოძრაობს გადაჭარბებული სიჩქარით და ქვეითად მოსიარულეს დაეჯახება, ის ვალდებული ხდება მას დახმარება აღმოუჩინოს. მართალია, ის მისთვის სრულიად უცხო ადამიანია და არც სამსახურებრივად არის გარანტის ფუნქციის მატარებელი, მაგრამ სწორედ წინარე ქმედება, დარღვევა, წარმოშობს ამ ვალდებულებას. გარანტის ვალდებულება წინარე ქმედების საფუძველზე მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც ეს ქმედება იყო დარღვევის შედეგი. მართლზომიერად მოქმედების შემთხვევაში (მაგ. ქვეითმა თვითონ დაარღვია წესები) მძლოლი არ ხდება დაზარალებულის გარანტი, ვინაიდან ეს არაპროპორციული სამართლებრივი ტვირთი იქნებოდა მისთვის. მას პასუხისმგებლობას მხოლოდ დაუხმარებლობისთვის თუ დავაკისრებთ.²⁸

²⁶ თ. ცქიტიშვილი; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბ., 2014, გვ 331.

²⁷ თ. წერეთელი; სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 286.

²⁸ ბ. ჯიშკარიანი; სისხლოს სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ., 2016, გვ 125.

მაგალითად: ა წესების დაცვით მოძრაობდა მანქანით, რა დროსაც უცებ სხვა მანქანას თან შეჯახებისა და სასიკვდილო შედეგის დადგომის საფრთხე წარმოიშვა. ამის თავიდან ასაცილებლად ა-მ ტროტუარზე გადაუხვია იმ ვარაუდის დაშვებით, რომ შესაძლებელია რომელიმე ქვეითისთვის ჯანმრთელობა დაეზიანებინა, რაც მართლა მოხდა. ქვეითს ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაუზიანდა. გახდა თუ არა მის მიმართ თავისი წინარე ქმედებით სამართლებრივი გარანტი?

მიუხედავად იმისა, რომ ა-ს ქმედება მართლზომიერი იყო და ის უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედებდა, მას გარანტის ვალდებულება მაინც წარმოეშობა, ვინაიდან საფრთხის მდგომარეობის შექმნაში ქვეითს წვლილი არ შეუტანია და მისი გარანტის გარეშე დატოვება არ იქნებოდა მართებული.²⁹

კ. როქსინი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუ საფრთხე დააფუძნა ისეთმა ქმედებამ, რომელსაც მოქმედ პირს ვერ შევრაცხავთ, შეუძლებელია ვისაუბროთ გარანტის ფუნქციაზე. მისი შეხედულებით, როცა ავტოვარია წარმოადგენს არა ქმედების შემადგენლობის შესაბამის ხელყოფას, რომელიც ხელმყოფს შეერაცხება, არამედ უბედურ შემთხვევას, მძღოლს პასუხისმგებლობა შემდგომი უმოქმედობისთვის მხოლოდ დაუხმარებლობისთვის (გერმანული სსკ-ის 323ც პარაგრაფი) უნდა დაეკისროს, რამდენადაც ამ შემთხვევაში მძღოლი არ არის გარანტორი.³⁰

უმოქმედობის საკითხს ეხება ჟენევის კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმიც, სადაც ვკითხულობთ, 86(2)-ე მუხლიდან გამომდინარე, მეთაურს ეკისრება უმოქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან იცოდა ან შეიძლება სცოდნოდა, რომ მისი ხელქვეითი ჩადიოდა ომის დანაშაულს. ასევე მნიშვნელოვანის სხვა ასპექტებიც აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით. მაგალითად: რომის სტატუტუს 28-ე მუხლი ითვალისწინებს მეთაურისა და სხვა უფროსის პასუხისმგებლობას. სტატუტი ერთმანეთსაგან განასხვავებს სამხედრო მეთაურს და სხვა სახის უფროსს: პორველმა მათგანმა იცის ან შექმნილ ვითარებაში უნდა სცოდნოდა (შეიძლება სცოდნოდა) დანაშაულის შესახებ და არ მიიღო გონივრული ზომები მათ აღსაკვეთად ან ამ საქმის გამოსაძიებლად გადასაცემად. სამოქალაქო უფროსისთვის დაწესებული იყო უფრო მაღალი სტანდარტი. უფროსმა უნდა განახორციელოს ძალაუფლება ან კონტროლი იმ პირის მიმართ, ვინც ჩადის დანაშაულებრივ ქმედებას, ამასთან იცოდა ან შეგნებულად

²⁹ ბ. ჯიშკარიანი; სისხლოს სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ., 2016, გვ 125.

³⁰ თ. ცქიტიშვილის „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბ., 2014, გვ 331. იხ ცქიტიშვილის განმარტება კ.როქსინის მოსაზრებაზე.

იგნორირება გაუკეთა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ხელქვეითმა ჩაიდინა ან განზრახული ჰქონდა ჩაედინა დანაშაული და არ მიიღო ზომები მის აღსაკვეთად. ამდენად რომის სტატუსის მოთხოვნაა სახელმწიფომ დააწესოს პასუხისმგებლობა მეთაურის და სხვა უფროსის უმოქმედობისათვის, რათა შესაძლებელი იყოს სისხლისამართლებრივი დევნა საერთაშორისო დანაშაულისათვის.³¹

რაც შეეხება ბრალის გამორიცხვას, შერეული უმოქმედობის დროსაც ის იმავე საფუძველზეა შესაძლებელი, როგორც მოქმედების დროს: ასაკის გამო შეურაცხაობის, ფსიქიკური დაავადების, შეურაცხაობის, შეცდომის, ბრძანების ან განკარგულების შესრულების და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების არსებობისას.³²

ქმედების განხორციელების შესაძლებლობა მიზეზობრივი კავშირის არსებობის აუცილებელი პირობაა. სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირი მაშინ გაიკიცხება, თუ მას ქმედების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდა. მართლწესრიგი არავის დაავალეს შეუძლებელის შეძლებას. პირის მიერ სამართლის მოთხოვნის განხორციელების შეუძლებლობა ბრალის გამომრიცხველი გარემოება კი არაა, დანაშაულის შემადგენლობის, კერძოდ, მიზეზობრივი კავშირის გამომრიცხველია.³³

³¹ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება-<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.04.2020;

³² ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი; დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, წიგნი II თბ., 2011, გვ 343

³³ იქვე გვ 343;

2.5. მცდელობა შერეული უმოქმედობის დროს

ტრადიციულად ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი, მაგრამ დღეის მდგომარეობით ქართველ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროსაც შესაძლებელია მცდელობა. ამ მოსაზრების მომხრე პროფ. მ. ტურავას შეხედულების თანახმად, ქართველი მეცნიერი იურისტების პოზიციას ევენტუალური განზრახვით მცდელობის შეუძლებლობისა და სსკ-ის 127-ე და 128-ე მუხლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით თეორიული დასაბუთება აქვს, მაგრამ, დოგმატიკური და პრაგმატული თვალსაზრისით, უფრო მისაღებია ის პოზიცია, რომელიც კონტინენტური ევროპის არაერთი ქვეყნის სისხლის სამართალში არის გაბატონებული.³⁴

შერეული უმოქმედობის დროს მცდელობა ისევე შესაძლებელია, როგორც დანაშაულის მოქმედებით განხორციელება³⁵. უმოქმედობით მცდელობა, ისევე როგორც მცდელობა მოქმედებით, ობიექტურ და სუბიექტური ელემენტებისაგან შედგება. აღნიშნული ელემენტები წარმოადგენს კანონით გათვალსიწინებული ქმედების განხორციელებას და შედეგის დადგომის ცოდნა, სურვილი და მართლწინაღმდეგობის შეგნება. მოქმედება მიმართულია დანაშაულის განსახორციელებლად, მაშინ როდესაც გარანტი მასზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევას იწყებს. სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულება ირღვევა მაშინ, როდესაც სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად მისი ჩარევაა საჭირო, შესაბამისად როდესაც სავალდებულო ქმედების განხორციელება საფრთხეს უქმნის ან აძლიერებს მას.³⁶

დასადგენია, როდისაა მოქმედება მიმართული დანაშაულის ჩასადენად, როდესაც არღვევს პირი მასზე დაკისრებულ მოქმედების მოვალეობას, როდის იწყება მცდელობა უმოქმედობით: სამართლებრივის სიკეთის გადარჩენის პირველივე შანსის, საბოლოო შანსის, თუ სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის წარმოშობისას? რადგან მცდელობა კონკრეტული საფრთხის შექმნაა, შერეული უმოქმედობის დროს, მცდელობა გვაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლებრივ სიკეთეს კონკრეტული საფრთხე შეექმნება და გარანტი შედეგის თავიდან აცილების პირველ შანსს არ გამოიყენებს.³⁷ მაგ: თუ გარანტს გადაწყვეტილი აქვს თავისი მზრუნველობის ქვეშ მყოფის შიმშილით სიკვდილი უმოქმედობის დროს, მცდელობად ითვლება

³⁴ გ. მამულაშვილი; წიგნში: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ., 2016, გვ. 172.

³⁵ Baumann/Weber/Mitsch, AT §15/Rn.35; Heinrich, AT I Rn. 752-755.

³⁶ იქვე გვ 752-755;

³⁷ იხ. აღნიშნული აზრია გაზიარებული გერმანელ სპეციალისტა მიერ. Ebert, A T S. 184; Heinrich, A T I Rn. 752-755; Roxin, A T

პირის ქმედება მხოლოდ მაშინ, როდესაც მსხვერპლისათვის საკვების მიუცემლობა მის ჯანმთელობას მნიშვნელოვნად შეარყევს. მცდელობად უნდა ჩაითვალოს უმწეო პირის მიტოვება საკვების გარეშე, როდესაც გარანტი მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების უნარს განზრახ უსპობს, თუ მას დაზარალებულის სიკვდილის მიმართ პირდაპირი განზრახვა ამოძრავებს.³⁸

რაც შეეხება გარანტის მიერ ისეთ მდგომარეობაში თავის ჩაყენებას, როდესაც მას დაკისრებული მოვალეობის შესრულება არ შეუძლია, იმ მიზნით, რომ საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში მას არ ჰქონდა ამ საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობა, ასევე მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როდესაც მოვლენათა კანონზომიერი მსვლელობა დროის განზღვრული მონაკვეთის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის რეალურ საშიშროებას ქმნის და ობიექტური დამკვირვებლის შეხედულებიდან გამომდინარე, გარანტი უკვე ხელს იღებს გადამრჩენი მიზეზობრიობის ჯაჭვის დაფუძნებაზე.³⁹

მნიშვნელოვანი საკითხია შერეული უმოქმედობის ჩადენა უვარგისი მცდელობისას. მცდელობა ევენტუალური განზრახვით ქართულ სისხლის სამართალში შეუძლებელია, ამიტომაც შერეული უმოქმედობისას უვარგისი მცდელობა დაისჯება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირს შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვა ამოძრავებდა. რაც შეეხება პუტატიურ (მხოლოდ პირის წარმოდგენაში არსებული) დანაშაულს, ის დასჯად ქმედებათა რიცხვს არ მიეკუთვნება, რადგან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება არაა. უმოქმედობის მიზეზობრიობის და აქედან გამომდინარე, უქმედობით ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო პირი მხოლოდ დაუხმარებლობისათვის აგებს პასუხს (სსკ -29-ე მუხლი) მაგ: ცურვის კარგად მცოდნე კაცს წყალში ჩავარდნილის ხმა ესმის, იგი არ ეხმარება საფრთხეში მყოფს და ფიქრობს, რომ ყველა კარგი მოცურავე, რომელიც დასახრჩობად განწირულს არ ეხმარება, უმოქმედობითვის აგებს პასუხს. მსხვერპლი მართლაც დაიხრჩობა. სწორედ ამ უმოქმედობისთვის პირი დაუხმარებლობისთვის აგებს პასუხს. ამ დროს გარანტის შეხედულებას, რომ მან უმოქმედობით განახორციელა მკვლელობა, მნიშვნელობა არ ენიჭება.⁴⁰

³⁸ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი; დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, წიგნი II თბ., 2011, გვ 346.

³⁹ იქვე გვ 346.

⁴⁰ იქვე გვ 346.

2.6. განზრახი დამთავრებული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა

შერეული უმოქმედობის დროს

დანაშაულის ნიშანია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგის განზრახ ან გაუფრთხილებლად გამოწვევა. შერეული უმოქმედობის შემადგენლობის ნიშანი სამართლის მიერ დაწყებული მოთხოვნის შეუსრულებლობით დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევაა. ის მოქმედება, რომლითაც პირს შედეგის თავიდან აცილება შეეძლო, კანონში არაა აღწერილი. იგი ობიექტურად, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს. უმოქმედობისთვის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა დამდგარ შედეგსა და პირის უმოქმედობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემა გასულ საუკუნეში ერთ-ერთ აქტიურ სისხლისსამართლებრივ პრობლემად ითვლებოდა. დისკუსია იმის შესახებ, მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობისას პრევენციული, შესაძლო მიზეზობრივი კავშირია თუ ნამდვილი მიზეზობრივი კავშირი, უკვე ას წელზე მეტია, რაც მიმდინარეობს. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლისთვის ნულის ტოლია, რადგან ქართველმა კანონმდებელმა ამ დისკუსიას სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით დაუსვა წერტილი.⁴¹

მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ გარანტის მოვალეობათა ფორმალური და მატერიალური საფუძვლები. გარანტის მოვალეობათა წარმოშობის ფორმალური საფუძვლებია:

1. ნათესაური ან სხვაგვარი მჭიდრო ურთიერთობა,
2. სოციალური ჯგუფის შექმნა, რომლის წევრებიც ურთიერთშეთანხმებით ერთმანეთის თანადგომის იმედით ნებაყოფლობით დგანან ერთნაირი საფრთხის წინაშე (მთამსვლელები, პოლარული ექსპედიციის წევრები),
3. მოვალეობის ნებაყოფლობით აღება თავის თავზე,
4. საფრთხის დამფუძნებელი წინარე ქცევა,
5. კანონი,
6. სამსახურეობრივი და პროფესიული მოვალეობა,
7. პირის კომპეტენციაში შემავალი პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროსთვის.

⁴¹ თ. წერეთელი; გ. ტყემელაძე; მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969, გვ 229-316;

მოქმედების მოვალეობის დიფერენციაცია მისი წარმოშობის საფუძველზე არ ნიშნავს იმას, რომ გარანტის მოვალეობა ამისდა მიხედვით სხვადასხვა ინტენსივობის იყოს. თუ საფრთხე წარმოიშვა, გარანტი მისი წარმოშობის საფუძვლის მიუხედავად, ვალდებულია დაიცვას სამართლებრივი სიკეთე.⁴²

ნათესაური ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილი გარანტის ფუნქცია არის არა სოლიდარობიდან გამომდინარე ის ფუქნცია, რომელიც ნებისმიერ პიროვნებას აკისრია მეორე პიროვნების მიმართ, (როგორც დაუხმარებლობისას) არამედ დაცვის და მეთვალყურეობის განაკუთრებული ვალდებულებანი, რომლებიც ადამიანთა მჭიდრო ბუნებრივი კავშირიდან გამომდინარეობენ. ამგვარ ურთიერთობაში იგულისხმება ურთიერთობა ოჯახის წევრებს და სხვა ახლო ნათესავებს შორის. კანონმდებლობით განსაზღვრული ახლო ნათესავთა წრე ამომწურავია და სასამართლოს მისი საკუთარი შეხედულების მიხედვით გაზრდის და აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაფართოების უფლება არ აქვს.⁴³

მარტოოდენ მორალური ვალდებულებანი გარანტის მოვალეობას ვერ დააფუძნებენ. მჭიდრო ურთიერთობის მიუხედავად უახლოესი მეგობრები ანდა შეყვარებულები ერთმანეთის გარანტები არ არიან . გარანტს შეურაცხადთა მიმართ აკისრია როგორც დაცვის (ვალდებულია დაიცვას საკუთარი შვილი ყოველგვარი საფრთხისაგან), ასევე ზედამხედველობის (ვადებულია თავიდან აიცილოს საკუთარი მცირეწლოვანი შვილის მიერ დანაშაულის ჩადენა) ვალდებულება. შერაცხადთა მიმართ გარანტს მხოლოდ მზრუნველი გარანტის მოვალეობა აკისრია. მშობლის, როგორც ზედამხედველის ვალდებულებაა მშობლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიღწევით დასრულდება. სისხლის სამართალი ნათესავებს არ ავალდებულებს ხელი შეუშალონ ერთმანეთს დანაშაულის ჩადენაში. შერაცხად ახლო ნათესავებს ერთმანეთის ქმედება არც ობიექტურად და არც სუბიექტურად არ შეერაცხებათ. გამოირიცხება ობიექტური შერაცხვა, რადგან სამართლებრივად გასაკიცხი საფრთხე სწორედ იმ სრულწლოვანი პირის მიერ იქმნება, რომელიც ქმედების შემადგენლობას ახორციელებს და არა იმის მიერ, ვინც შემადგენლობის განხორციელებას არ იცილებს თავიდან. ბრალის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, სუბიექტური შერაცხვაც არ გვექნება, რადგან სრულწლოვანი პორები ქმედებისათვის თავად აგებენ პასუხს.⁴⁴

⁴² ქ.მჭედლიშვილი ჰედრიზი; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი II თბ., 2011, გვ 304.

⁴³ იქვე გვ 304.

⁴⁴ იქვე გვ 304.

2.7. განსაცდელში მიტოვება

ჩემს მიერ ზემოთ განხილული ზოგადი ნორმები შეგიქმნით საერთო წარმოდგენას, თუ რა არის უმოქმედობა და როგორ შეიძლება ქმედების განხორციელება უმოქმედობით, დასჯადობა აღნიშნული დანაშაულისათვის და მიზეზ-შედეგობრივი. კავშირი. ახლა კი უშუალოდ მინდა განვიხილო სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული ნორმა - განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხლი), რომელიც უფრო დეტალურად დაგანახებთ განსაცდელში მიტოვების (უმოქმედობის) არსს.

კანონის დისპოზიცია ასეთია: “დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება”.⁴⁵

რა ხდება მაშინ, როდესაც როდესაც პირმა საერთოდ არ იცის, რომ მაგალითად, მისი ზრუნვის ქვეშ მყოფი პირი გასაჭირშია და დახმარება სჭირდება, მაგრამ ყურადღების გამოჩენის შემთხვევაში ამის შეცნობა შეეძლო, ის პასუხს აგებს მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის (ფაქტობრივი შეცდომა). იგივე ითქმის იმ სიტუაციაზე, როდესაც მან იცის საფრთხის შესახებ, მაგრამ ჰგონია, რომ როგორც გარანტი, არ არის ვალდებული დაეხმაროს საფრთხეში მყოფს (სამართლებრივი შეცდომა). ამასთან, თუ პირს გამიზნულად სურს სხვისი სიკვდილი და ამიტომაც არ ეხმარება, თუმცა მსხვერპლი გადარჩება, ეს იქნება განზრახ მკვლელობის მცდელობა უმოქმედობით. მსხვერპლის დაღუპვისას საქმე გვექნება უმოქმედობით ჩადენილ დამთავრებულ მკვლელობასთან. ხოლო, თუ პირი მსხვერპლის სიკვდილთან მიმართებაში მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, ანუ უშვებდა მის სიკვდილს და ის მაინც გადარჩება, გვექნება არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობა უმოქმედობით. შესაძლოა, განსაცდელში მიმტოვებელს სულაც არ სურდეს მეორე პირის სიკვდილი და იმედოვნებდეს, რომ მას სხვები გადაარჩენენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, შედეგი მაინც დადგეს. აქ უკვე გვექნება განსაცდელში მიტოვებისა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ერთობლიობა. შედეგის არარსებობისას კი მხოლოდ განსაცდელში მიტოვება.⁴⁶

ეს ტექსტი მოიცავს შინაარს იმის თაობაზე, რომ დამნაშავეს კარგად აქვს შეგნებული და იცის, რომ დაზარალებულის სიცოცხლეს აშკარა საფრთხე ელის, იცის თავისი ვალდებულებაც დახმარების გაწევის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არ აღმოუჩენს დახმარებას. დახმარება

⁴⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2020 წლის მდგომარეობით.

⁴⁶ ბ. ჯიშკარიანი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ., 2016, გვ 126.

შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ტანზე ცეცხლის ჩაქრობით, წყლიდან ამოყვანით, დამხმარე ძალებისათვის შეტყობინებით და ა.შ.⁴⁷

პასუხიმგებლობა ამ მუხლით დგება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) თუ ნამდვილად არსებობდა დაზარალებულის სიცოცხლის დაღუპვის პირობები.

ბ) თუ ნამდვილად არ გაუწია დამნაშავემ დახმარება და საშიშროების მიხედვით ეს გადაუდებელი იყო.

გ) თუ დახმარება შეიძლება გაწეულიყო დამხმარე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდების გარეშე.

დ) თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა

ე) თუ ჰქონდა დახმარების რეალური შესაძლებლობა.

ობიექტური მხარე მოცემული დანაშაულისა არის მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ზომები თავის გადასარჩენად.⁴⁸

სსკ-ის 128-ე მუხლი უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთი მაგალითია, რომელიც, გარკვეულწილად, ორმაგი ბუნებისაა. ერთი მხრივ, ცალკე აღებული, ის დასჯადობას იწვევს წმინდა უმოქმედობისთვის, ანუ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირის დაუხმარებლობისთვის სამართლებრივი გარანტიის მხრიდან, მაგრამ, განსხვავებით თუნდაც სსკ-ის 129-ე მუხლისგან (დაუხმარებლობა), განსაცდელში მიტოვებას ახასიათებს ის, რომ ძალიან ახლოს დგას შერეული უმოქმედობის დელიქტთან. მაგალითად, დედამ განზრახ მიატოვა შვილი დიდი ხნით და ის შიმშილისგან გარდაიცვალა. ეს უკვე აღარ იქნება განსაცდელში მიტოვება, არამედ სსკ-ის 109-ე მუხლით მოხდება დედის პასუხისგებაში მიცემა. აქედან გამომდინარე, შედეგის დადგომის შემთხვევაში სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ყოფნაში იგულისხმება ისეთი სიტუაცია, სადაც პოტენციურ მსხვერპლს არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას თავი.⁴⁹

ობიექტური შემადგენლობის მეორე ნიშანია დაუხმარებლობა. მასში მოიაზრება ფიზიკურად და რეალურად შესაძლო ქმედების განუხორციელებლობა, ვინაიდან სამართალი უფრო მეტს არავისგან მოითხოვს. ვისაც არ შეუძლია არც დახმარება და არც სხვისი მოხმობა, მას პასუხისგებაში ვერ მივცემთ. თუმცა, შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ ყოველივე ეს მისი ქმედებითვე იყოს გამოწვეული მაგ: საცურაო აუზზე დასაქმებულმა მაშველმა სამუშაო საათებში

⁴⁷ ზ. მჭავანაძე; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი კომენტარები. თბ., 2000, გვ 78.

⁴⁸ იქვე გვ- 78.

⁴⁹ ბ. ჯიშკარიანი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანი წინაღმდეგ. თბ., 2016, გვ 122.

დალია ბევრი ალკოჰოლი. ის ფიქრობდა, რომ მისი დახმარება არავის დაჭირდებოდა და ყველაფერი კარგად იქნებოდა. სამწუხაროდ, ერთ-ერთ მოცურავეს დახმარება დაჭირდა და მას მაშველი ნასვამობის გამო ვერ დაეხმარა. ის შემთხვევით სხვებმა გადაარჩინეს. როგორც კაზუსიდან ვხედავთ, მაშველს ნასვამობის გამო ფიზიკურად არ შეეძლო დახმარება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მან მაინც უნდა აგოს პასუხი განსაცდელში მიტოვებისთვის, ვინაიდან სწორედაც რომ დალევის მომენტში უნდა გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი საფრთხეები, რაც მისი სამსახურის სპეციფიკასთან არის დაკავშირებული. თუ მოცურავე მაშველის დაუდევრობის გამო დაიღუპებოდა, მაშინ ის პასუხს აგებდა ერთობლიობით - განსაცდელში მიტოვებისა და სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვის. რომც გაირკვეს მოგვიანებით, რომ მაშველი ფხიზელიც რომ ყოფილიყო, რეალურად მაინც ვერ მიუსწრებდა მსხვერპლს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს მხოლოდ განსაცდელში მიტოვებისთვის, ვინაიდან 128-ე მუხლისთვის გადამწყვეტია დაუხმარებლობის ფაქტი ხოლო, გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა გამოირიცხება, ვინაიდან არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დაუხმარებლობასა და მსხვერპლის დაღუპვას შორის.⁵⁰

დანაშაულის ობიექტური მხარე მდგომარეობს უმოქმედობაში. ე.ი. დანაშაული გამოიხატება დაზარალებულის მიმართ აუცილებელი დახმარების გაუწევლობაში, იმ დროს, როდესაც დამნაშავეს ევალებოდა დაზარალებულზე ზრუნვა და შეეძლო კიდეც ეს. განსაცდელში მყოფი ადამიანისთვის სპეციალური ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ კანონიდან (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით მშობლები ვალდებული არიან დაეხმარონ არასრულწლოვან შვილებს, შვილები შრომისუუნარო მშობლებს); მოქმედების ვალდებულება შეიძლება განპირობებული იყოს არჩეული პროფესიით ან სამსახურეობრივი მდგომარეობით. მაგ: ასეთი ვალდებულება აკისრია სკოლამდელი საბავშვო დაწესებულების აღმზრდელს, მაშველს, მეხანძრეს. დახმარების აღმოჩენის სპეციალური ვალდებულება შეიძლება ეფუძნებოდეს დამნაშავის წინარე ქმედებას, რითაც საფრთხე შეექმნება ადამიანის სიცოცხლეს.⁵¹ მაგ: მძღოლი, რომელიც დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, ვალდებულია იზრუნოს მასზე. მოქმედების სპეციალურ ვალდებულებას წარმოშობს ასევე ხელშეკრულება, მაგ: ძიძას აკისრია ბავშვზე ზრუნვის მოვალეობა.⁵²

⁵⁰ ბ. ჯიშკარიანი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანი წინაღმდეგ. თბ., 2016, გვ 122.

⁵¹ <https://www.gen.ge/განსაცდელში-მიტოვება-თუ/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.04.2020;

⁵² მ. ლეკვეიშვილი; ნ. თოდუა; გ.მამულაშვილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I თბ., 2016, გვ.185;

მიზეზები, რომლებიც იწვევენ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ყოფნას, შეიძლება განპირობებული იყოს ასაკობრივი ფაქტორებით(მცირეწლოვნობა, მოხუცებულობა); ადამიანის ორგანიზმში ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესებით (ავადმყოფობა, დამბლა, გულის წასვლა, დაწყებული მშობიარობა, ქუჩაში ეპილეფსიის შეტევა და სხვა); სტიქიური უბედურებით (მაგალითად მიწისძვრისაგან ჩამონგრეული სახლის კედლები ადამიანს შესაძლებლობას უსპობს გავიდნენ ნანგრევებიდან და ა.შ) და სხვა.⁵³

მეორე შემთხვევა ითვალისწინებს პასუხიმგებლობას ისეთი სიტუაციის გამო, როდესაც ბრალდებულმა თვითონ ჩააყენა დაზარალებული სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში და შემდგომ მიატოვა იგი დახმარების გარეშე. მაგ: მზრუნველი მიატოვებს სუსტი მხედველობის ადამიანს ქუჩაში, სადაც მანქანების ინტენსიური მოძრაობაა.⁵⁴

განსაცდელში მიტოვებისათვის პირს პასუხისმგებლობა მაშინ დაეკისრება, როცა მას რეალური შესაძლებლობა აქვს მიიღოს ზომები ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. ამ შესაძლებლობის არქონა გამორიცხავს ნებელობით ქცევას და მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ პასუხიმგებლობას. გარკვეული რისკი, რომელიც თან ახლავს განსაცდელში მყოფის დახმარებას, ვერ გაამართლებს დამნაშავეს უმოქმედობას, თუ ეს რისკი მისთვის სახიფათო არ არის. განსაცდელში მიტოვება ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია. იგი დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომეტიდან, როცა პირს წარმოეშვა დახმარების აღმოჩენის მოვალეობა და ეს მან არ შეასრულა (მიუხედავად იმისა, განხორციელადა თუ არა ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში შედეგი). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამნაშავეს 128-ე მუხლით მაშინაც დაეკისრება, როდესაც იგი სათანადო დახმარების აღმოჩენითაც ვერ გადაარჩენდა დაზარალებულის სიცოცხლეს.⁵⁵ სისხლის-სამართლებრივი პასუხიმგებლობის საფუძველს ქმნის განსაცდელში მყოფი ადამიანის დაუხმარებლობის ფაქტი.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვისაც სპეციალური ვალდებულება აკისრია, იზრუნოს განსაცდელში მყოფ ადამიანზე და თავიდან ააცილოს ხიფათი. შესაბამისად, სსკ 128-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დასაკისრებლად პირს უნდა ჰქონდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია. დანაშაულის ჩადენა შეიძლება განზრახ. დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ:

⁵³ ზ. წულაია; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ტომი I (მეორე გამოცემა) თბ., 2003, გვ.147.

⁵⁴ იქვე გვ - 147.

⁵⁵ <https://geolaw.wordpress.com/2012/11/03/kazusi/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.04.2020;

ა) ადამიანი იმყოფება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში და მოკლებულია შესაძლებლობას თავი გადაირჩინოს;

ბ) დაკისრებული აქვს მოქმედების (დახმარების) სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია;

გ) განსაცდელში მყოფი ადამიანისთვის დახმარების გაწევა მისი შესაძლებლობის ფარგლებშია (თუმცა შეძლებდა თუ არა შედეგის რეალურად აცილებას, ამას არ აქვს მნიშვნელობა).

დაუხმარებლობის მოტივი სხვასადეხვა შეიძლება იყოს (შურისძიება, ეჭვიანობა და ა.შ.), ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.⁵⁶

განსაცდელში მიტოვება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისაგან (სსკ-ის 127-ე მ.) იმით განსხვავდება, რომ პირს თვითონ კი არ ჩაუყენებია დაზარალებული სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში, არამედ სხვა პირობების გამო ასეთ მდგომარეობაში მყოფი მან მიატოვა დახმარების აღმოუჩენლად. როგორც უკვე აღინიშნა, განსაცდელში მიტოვებისას, განსაცდელში მყოფის მიმართ სპეციალური ვალდებულება განსაცდელში მიმტოვებლის წინარე მოქმედებითაც შეიძლება იყოს წარმოქმნილი. მაგრამ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ასეთი სპეციალური მოვალეობა არაბრალეული წინარე მოქმედებითაც შეიქმნას? მაგალითად, მძღოლი დაეჯახა ქვეითად მოსიარულეს, მაგრამ ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი არ ყოფილა მძღოლის ბრალეული ქმედება, არამედ ქვეითის მიერ წინდახედულების წესების დარღვევა ან კიდევ დაჯახება მოხდა მანქანის სამუხრუჭე სისტემის გაფუჭების გამო. ისმის კითხვა: არის თუ არა მძღოლი სამართლებრივი მოვალეობის სუბიექტი, თუ იგი მხოლოდ სოლიდარული მოვალეობის სუბიექტია?

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, წინარე მოქმედებიდან სამართლებრივი გარანტიის ფუნქციის წარმოშობისათვის საკმარისია პირის მიერ საფრთხის გამოწვევა და საჭირო არაა, რომ ეს წინარე მოქმედება მართლსაწინააღმდეგო იყოს და პირი წინდახედულობის ნორმებს არღვევდეს.⁵⁷ სხვაგვარად რომ ვთქვათ, 128-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა გულისხმობს იმას, რომ სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა შექმნილია დამნაშავეს ნებისაგან დამოუკიდებლად ან იგი დამნაშავეს მოქმედებითაა შექმნილი, მაგრამ ბრალის გარეშე.⁵⁸ რამდენადაც პირს აკისრია სპეციალური ვალდებულება იზრუნოს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირზე,

⁵⁶ მ. ლეკვეიშვილი; ნ. თოდუა; გ. მამულაშვილი; სისიხლის სმარათლის კერძო ნაწილი წიგნი I თბ., 2016, გვ. 186;

⁵⁷ თ. ქციტიშვილი; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის დელიქტები თბ., 2014, გვ. 330;

⁵⁸ ბ. ფურცვანიძე; საბჭოთა სისიხლის სამართალი, განსაკუთრებული ნაწილი თბ., 1966, გვ. 200;

იმდენად იგი გამოდის გარანტის როლში, რომელმაც დაზარალებული უნდა იხსნას. ცხადია, ასეთი გარანტის როლში პიროვნება მაშინ გამოდის, როდესაც მას არა მარტო ევალება დაზარალებულზე ზრუნვა, არამედ როცა რეალური შესაძლებლობა აქვს მასზე დახმარების აღმოჩენის. წინააღმდეგ შემთხვევაში განსაცდელში მიტოვება არ შეიძლება მივიჩნიოთ ნებელობითი ქცევის გამოვლენად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება მეტი საშიშროების მქონეა, ვიდრე განსაცდელში მიტოვება.⁵⁹

მნიშვნელოვანი საკითხია, რომ განსაცდელში მიტოვების უვარგისი მცდელობა გაიმიჯნოს მოჩვენებითი დანაშაულისგან. მოჩვენებითი დანაშაულის დროს საერთოდ არ დგება დასჯადობის საკითხი, ვინაიდან ქმედება საზოგადოებრივი საშიშროების მცირე ხარისხსაც არ შეიცავს და ადგილი აქვს განსაცდელში მიტოვებას, რომელიც მოვალეობის დელიქტია. სხვაგვარად, მას საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტიც შეიძლება ვუწოდოთ. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია განსაცდელში მიტოვება შუალობითი ამსრულებლობითა და თანაამსრულებლობით. უვარგისი მცდელობის დროს ადამიანი ფაქტობრივ გარემოებებში განსაცდელში ცდება.⁶⁰

როდესაც ვსაუბრობთ ახლო ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე გარანტის სამართლებრივ მოვალეობაზე, წარმოიშობა კითხვა, გარანტს ყოველთვის აკისრია განსაცდელში მყოფ ახლო ნათესავზე ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობა, თუ რაიმე მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მათ შორის რეალურად არსებულ ურთიერთობას?. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ თუ ახლო ნათესავებს შორის ურთიერთობა გაწყვეტილია, ახლო ნათესავი ასეთ დროს გარანტორი არ არის, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ცუდი ურთიერთობის მიუხედავად, ახლო ნათესავი მაინც უნდა ჩაითვალოს გარანტორად.⁶¹ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცოლ-ქმრული ურთიერთობა. ლიტერატურაში გამოთქმული მართებული თვალსაზრისის მიხედვით, გარანტის ფუნქციის მოსპობას ვერ გამოიწვევს ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის გაფუჭება. სანამ ისინი იურიდიულ ქორწინებაში იმყოფებიან, ერთმანეთის მიმართ ინარჩუნებენ გარანტორის ფუნქციას. ხოლო, განქორწინების ფაქტი ამ ფუნქციის მოსპობას განაპირობებს. გარანტორად არ შეიძლება ჩაითვალოს ყოფილი მეუღლე, რომელიც იურიდიულად არის განქორწინებ⁶²

⁵⁹ მ. მაყაშვილი; თ. მაჭავარიანი; თ. წერეთელი; თ. შავგულიძე; დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები), თბ., 1980, გვ.138-139;

⁶⁰ ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ 55-57.

⁶¹ იქვე გვ 311.

⁶² მ. ტურავა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა თბ., 2013, გვ 179;

რაც შეეხება საკითხს მოვალეობის შეუსრულებლობით განსაცდელში მიტოვების განხორციელებაზე, იბადება კითხვა, ეკისრება თუ არა პირს ვალდებულება, დახმარება აღმოუჩინოს იმას, ვინც საკუთარი თავი საფრთხეში ჩაიყენა და საფრთხე შეუქმნა საკუთარ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას?⁶³ მართალია, საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა არ იწვევს პასუხისმგებლობას ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო, მაგრამ რამდენად გამორიცხავს იგი გარანტის ვალდებულებას, დახმარება აღმოუჩინოს საფრთხეში მყოფს?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ საკუთარი თავის საფრთხეში ჩაყენება გარანტს ყოველთვის ათავისუფლებს განსაცდელში მყოფის მიმართ ზრუნვის სამართლებრივი მოვალეობისგან,⁶⁴ ხოლო ნაწილი თვლის, რომ მაშინ როცა განსაცდელში მყოფს დაკარგული აქვს საკუთარ თავზე ზრუნვის შესაძლებლობა და იგი კარგავს მოველენათა განვითარებაზე ბატონობის უნარს, გარანტს ეკისრება სამართლებრივი მოვალეობა, იზრუნოს განსაცდელში მყოფზე. მაგალითად, თუ ადამიანი მდინარეში თავის დასახრჩობად გადახტა, ეკისრება თუ არა მასზე ზრუნვა, აღნიშნულის ვალდებულების მქონე პირს ან თუნდაც სხვას, დახმარება აღმოუჩინოს იმ ადამიანს, ვინც თვითმკვლელობის მიზნით მდინარეში გადახტა?⁶⁵

განსაცდელში მიტოვებას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მიიჩნევენ მ. უგრეხელიძე და გ. ტყეშელიაძე. ⁶⁶ განსაცდელში მიტოვებას, ისევე როგორც სხვა აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებს, შედეგგარეშე ანუ ე. წ. ფორმალურ დელიქტებს მიაკუთვნებენ. როცა განსაცდელში მიტოვებას ადამიანის სიკვდილი მოჰყვება, დაუხმარებლობისგან განსხვავებით, დამნაშავეს პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ უმოქმედობისთვის, არამედ დამდგარი შედეგისთვისაც და ქმედება (ევენტუალურ) განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირდება. აღნიშნული ფაქტორი განპირობებულია იმ მოვალეობის მნიშვნელობით, რომელიც დამნაშავეს მსხვერპლის მიმართ გააჩნია.⁶⁷

⁶³ ქ. მჭედლიშვილი - ჰედრიხი; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები თბ., 2011, გვ 308;

⁶⁴ მ. ტურავა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება თბ., 2011, გვ 239;

⁶⁵ თ. ქციტიშვილი; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის დელიქტები თბ., 2014, გვ 335;

⁶⁶ ბ. უგრეხელიძე; ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 4-5; გ. ტყეშელიაძე; წიგნში: გ. ნაჭყებია ი. დვალიძე; (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 121.

⁶⁷ გ. ტყეშელიაძე; წიგნში: გამყრელიძე ო. (რედ.), სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002 გვ. 206;

მეცნიერთა ერთი ნაწილის შეხედულებით, განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავე მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით მოქმედებს ევენტუალური განზრახვით ან თვითიმედოვნებით.⁶⁸ მ. ტურავას თვალსაზრისით, განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავე სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიმართ თვითიმედოვნებით მოქმედებს.⁶⁹

განსაცდელში მიტოვების დროს, ისე როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებისას, დამნაშავეს სიცოცხლის მოსპობის მიმართ შეუძლებელია გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდეს. მართალია, განსაცდელში მიტოვება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია, მაგრამ საფრთხე, რომელიც მსხვერპლის მიმართ არსებობს, კონკრეტულია. კონკრეტული საფრთხის არსებობის გაცნობიერება, კონკრეტული საფრთხის ბუნებიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეუძლებელს ხდის იმას, რომ დამნაშავე დარწმუნებული იყოს შედეგის თავიდან აცილებაში. არ არის გამორიცხული, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხე რეალურად, კონკრეტულად არსებობდეს და დამნაშავე დარწმუნებული იყოს იმაში, რომ არსებულ ვითარებას მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ მოჰყვება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება კონკრეტული საფრთხის არსებობის გაცნობიერება. კონკრეტული საფრთხის არსებობის გაცნობიერება ნიშნავს დამნაშავეს მიერ იმის გათვალისწინებას, რომ ქმედებას შეიძლება გარკვეული შედეგიც მოჰყვეს. როგორც გამოირკვა, საქართველოში განზრახვის და გაუფრთხილებლობის შინაარსი დღემდე არავის უკვლევია კონკრეტული საფრთხის ბუნების გათვალისწინებით და არასწორი დასკვნების საფუძველიც ამაში უნდა ვეძიოთ.⁷⁰

128-ე მუხლთან დაკავშირებით აქვე მინდა მაგალითი მოვიყვანო სასმართლო პრაქტიკიდან, რაც უფრო ნათელს გახდის განსაცდელში მიტოვების შინაარსს. ამასთან აღნიშნული პრაქტიკა არ არის 21-ე საუკუნის, რაც უფრო საინტერესოა იმით, რომ გასულ საუკუნეშიც მეტად მნიშვნელოვან დანაშაულად აღიქმებოდა არსებული საკითხი და ის არ რჩებოდა კანონის ჩარჩოებს მიღმა. მაგალითი შემდგომში მდგომარეობს:

ვ-ს, რომელიც ავტომანქანას მართავდა, ქ. ბაქოს მახლობლად ავტოავარია მოუხდა. მისი მანქანა დაეჯახა 15 წლის გ-ს, რომელიც მოულოდნელად გადმოხტა. ვ-ს ბრალი არ მიუძღვოდა, მაგრამ, ვინაიდან მისი მოქმედების შედეგად ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა, მას

⁶⁸ თ. წერეთელი; ვ.მაყაშვილი; თ.მაჭავარიანი; თ. შავგულიძე; დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ თბ., 1980, გვ 140;

⁶⁹მ. ტურავა; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ.,2013, გვ. 138.

⁷⁰ თ. ქციტიშვილი; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის დელიქტები თბ., 2014, გვ 343;

ევალუბოდა მძიმედ დაშავებული სასწრაფოდ წაეყვანა საავადმყოფოში, მან კი ავარიის დაფარვის მიზნით ბავშვი თავის სახლში მიიყვანა, როდესაც მას ბავშვი მანქანიდან გადამოყვავდა, გაირკვა რომ იგი გარდაცვლილი იყო.⁷¹

ამ საქმეზე გამოტანილი განჩინებაში სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვ-ს არ დაურღვევია სატრანსპორტო წესები, პირიქით ეს წესები თავად დაზარალებულმა დაარღვია და ამიტომ არავითარ ბრალზე ვ-ს მიმართ არ შეიძლება ვილაპარაკოთ. ამასთან სამედიცინო-სასამართლო დასკვნის საფუძველზე სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ გ-ს ჭრილობა აუცილებლად სასიკვდილო იყო და დროზე აღმოჩენილი დახმარების შემთხვევაშიც იგი სიკვდილს ვერ ასცდებოდა. სასამართლომ დასაბუთებულად ჩათვალა ვ-ს მსჯავრდება განსაცდელში მყოფი პირისათვის დახმარების აღმოუჩენლობისათვის. კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვ-მ არ წაიყვანა დაზარალებული საავადმყოფოში და ამით დაარღვია მოვალეობა, რომელიც მას დაეკისრა ჯანმრთელობის დაზიანების გამო, თუმცა ბრალის გარეშე. ამიტომ კოლეგიის აზრით, ვ-ს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს შეგნებულად განსაცდელში მიტოვებად იმისა, ვინც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ვისაც არ ჰქონდა შესაძლებლობა თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალუბოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისთვის დახმარების აღმოჩენა.⁷²

ასევე მინდა მოვიყვანო ჩვენი რელობიდან მაგალითი:

2017 წლის 17 აპრილს, დაახლოებით 22:25 საათზე, ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე ზ.ლ. ავტომანქანით ქალაქის ცენტრის მიმართულებით მოძრაობდა, რა დროსაც დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რის შედეგადაც ავტომანქანა სავალი ნაწილიდან გადავიდა და ქვეითად მიმავალ ზ.ჭ.-ს შეეჯახა. ზ.ლ.-მ განსაცდელში მყოფი ზ.ჭ. დაუხმარებლად მიატოვა და შემთხვევის ადგილიდან ავტომანქანის შეუჩერებლად მიიმალა. ზ.ჭ. მიღებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.⁷³

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევასა და განსაცდელში მიტოვებისთვის ბრალდებული ზ.ლ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და 128-ე მუხლით და სასჯელის სახედ და

⁷¹ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2002, გვ 207;

⁷² იქვე - გვ 207;

⁷³ <http://www.gmtv.ge/უსაფრთხოების-წესის-დარღვევა/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.12.2020;

ზომად 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მას, ასევე, ორი წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.⁷⁴

ასევე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან შესაძლებელია ერთი მაგალითის მოყვანა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით ჯ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 128-ე მუხლის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რის გამოც მას სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. განაჩენის მიხედვით, ჯ. გ-შვილს მსჯავრი დაედო მთვრალ მდგომარეობაში ტრაქტორის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და განსაცდელში მიტოვებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 18 დეკემბერს სიღნაღის რაიონის მცხოვრები, მეთესლეობის მეურნეობის მექანიზატორი ჯ. გ-შვილი თავის საცხოვრებელ ბინაში სადილობისას არყით დათვრა, რის შემდეგაც გადაწყვიტა «ბელორუსის» მარკის ტრაქტორით, რომელსაც მართავდა, გადაეყვანა სოფ. ... მეურნეობის მუშები, რაც მას სამსახურებრივად ევალებოდა. ამ მიზნით მთვრალი ჯ. გ-შვილი, დაახლოებით 18:00 საათზე, მიუჯდა ტრაქტორის საჭეს და სოფ. მალაროდან გაემართა სოფ. ... მიმართულებით. ხსენებულ სოფელში, დედოფლისწყარო - თბილისის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოძრაობისას, ჯ. გ-შვილმა დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის 28-ე მუხლის პირველი, მეოთხე, მეხუთე პუნქტებისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, სიმთვრალის გამო ვერ უზრუნველყო ტრაქტორის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დაცვა და საჭესთან ჩაეძინა, დაკარგა ტრანსპორტის მართვის უნარი, რის გამოც ტრაქტორი გადავიდა ტრანსპორტის მოძრაობის საპირისპირო, უკიდურეს მარცხენა მხარეს და შეეჯახა ქვეითად მოსიარულე, სოფ. ... მცხოვრებ ნ. ნ-შვილს, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ჯ. გ-შვილმა იცოდა რა, რომ ტრაქტორით შეეჯახა ქვეითად მოსიარულეს, მძიმედ დაშავებული მიატოვა განსაცდელში და არ მიიღო არავითარი ზომები სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ნ. ნ-შვილის გადასარჩენად, როცა მას ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის ადვოკატებმა - თ. მ-შვილმა და გ. გ-შვილმა, ხოლო მათ სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა სახელმწიფო ბრალმდებელმა ნ. ლ-შვილმა. საჩივრით აპელანტები ითხოვდნენ

⁷⁴ <http://www.gmtv.ge/უსაფრთხოების-წესის-დარღვევა/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.12.2020;

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებდნენ იმით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები მოპოვებული იყო კანონის უხეში დარღვევით.⁷⁵

შესაგებლით პროკურორი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენის ძალაში დატოვებას იმ მოტივით, რომ ჯ. გ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება მოიცავდა ორ დანაშაულს, რომელთაგან ერთი იყო მძიმე კატეგორიის. სახელმწიფო ბრალმდებელი ნ. ლ-შვილი შესაგებელში აღნიშნავდა, რომ დადგენილი სასჯელის ზომა მთლიანად შეესაბამებოდა მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებას.⁷⁶

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები არ ჩაუდენია, ხოლო განაჩენი ემყარება საპროცესო კანონის უხეში დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა ობიექტურად და სარწმუნოდ არის დადგენილი საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ მოწმე ბ. ხ-შვილის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებებით, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა სწორად დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება, ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონის მიხედვით.⁷⁷

გარდა ამისა, საკასაციო პალატა სასამართლოს მიერ ჯ. გ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელის ზომას თვლის სამართლიანად და დასაბუთებულად, რის გამოც მიაჩნია, რომ სასჯელის ნაწილში განაჩენის შეცვლის საფუძველი არ არსებობს. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, მსჯავრდებული ჯ. გ-შვილი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

⁷⁵ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2008 № 4, გვ 39.

⁷⁶ იქვე გვ 39.

⁷⁷ იქვე გვ 40.

დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, ხოლო აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის სასიკეთოდ.

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ჯ. გ-შვილი, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის თანახმად, გათავისუფლდეს სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მსჯავრდებულ ჯ. გ-შვილს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი- თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით - გაუნახევრდეს და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.⁷⁸

⁷⁸ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2008 № 4, გვ 39.

2.8. დაუხმარებლობა

უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სსკ 129 მუხლით გათვალისწინებული დაუხმარებლობა. აღნიშნული მუხლი ერთი ნაწილისაგან შედგება. კანონმა ჩათვალა, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია, დახმარება აღმოუჩინოს მეორეს, მითუმეტეს მაშინ, როცა მისი სიცოცხლე გასაცდელშია.⁷⁹

კანონმდებელმა იმდენად აუცილებლად მიიჩნია ერთი პირისაგან მეორის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, რომ ასეთ შემთხვევაში უმოქმედობა დანაშაულად ჩათვალა და კანონის დისპოზიცია ასე ჩამოაყალიბა: „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შესახებ სათანადო დაწესებულებისთვის ან პირისათვის შეუტყობინებლობა“.⁸⁰

სსკ-ის 129-ე მუხლი წმინდა უმოქმედობის კლასიკური მაგალითია, რომლის მიხედვითაც პირი პასუხს მხოლოდ და მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობისთვის აგებს და თუნდაც სიკვდილის სახით შედეგის დადგომას კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს. დასჯადობა მაინც მხოლოდ 129-ე მუხლით მოხდება. ეს ნორმა თავისი არსით პრევენციული მნიშვნელობისაა, ვინაიდან მასში გასაჭირში მყოფი პირის დახმარების ზოგადი მოქალაქეობრივი მოვალეობა სამართლებრივ ვალდებულებად არის აღიარებული. განსაცდელში მიტოვებისგან (მუხ. 128) განსხვავებით დამნაშავე არ არის სამართლებრივი გარანტი საფრთხეში მყოფის მიმართ. ის უფრო შემთხვევითი პირი შეიძლება იყოს, რომელსაც თვითონ არ გამოუწვევია საფრთხე და უბრალოდ გადააწყდა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ პირს.⁸¹

128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ანალიზთან დაკავშირებით გამოთქმული რამდენიმე მოსაზრება ეხება დაუხმარებლობის შემადგენლობასაც, რადგან ამ ორ დანაშაულს ბევრი საერთო ნიშნები ახასიათებთ.

ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა, როგორც აღნიშნული იყო, შეიძლება შეიქმნას სტიქიური უბედურებით (მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი და ა.შ), ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესებით (ავადმყოფობა, ინფექტი, მშობიარობა და ა. შ), ტექნიკური ავარიით, კატასტროფით და სხვა.⁸²

⁷⁹ ზ.მჭავანაძე; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი კომენტარები. თბ., 2000, გვ 79;

⁸⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექი, 2020 წლის მდგომარეობით.

⁸¹ ბ. ჯიშყარიანი; სისხლის სამართლის ჯერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ., 2016, გვ 130.

⁸² სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2002, გვ. 210.

ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხე უნდა იყოს უშუალო და რეალური, აქედან გამომდინარე, დახმარების აღმოჩენაც უნდა იყოს აუცილებელი და გადაუდებელი. აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების საჭიროება ნიშნავს იმას, რომ შექმნილ ვითარებაში დაუხმარებლობა გამოიწვევს ადამიანის დაღუპვას. დახმარების აუცილებლობა განპირობებულია აგრეთვე იმით, რომ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს თავად არ შეუძლია შექმნილ ვითარებიდან თავის დაღწევა. დაუხმარებლობა დანაშაულად ჩაითვლება, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე. აქედან გამომდინარე, დანაშაულად არ ჩაითვლება დახმარების აღმოუჩენლობა არა მარტო მაშინ, როცა პირს ფაქტობრივად არ შეეძლო დახმარება, არამედ მაშინაც, როცა დახმარების აღმოჩენა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. კანონი, რასაკვირველია, არ მოითხოვს სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად საარაკო გმირობის გამოჩენას და საამისოდ საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის გაწირვას. მაგრამ, ამავე დროს, კანონი არ ათავისუფლებს პასუხიმგებლობისაგან, როდესაც დაუხმარებლობა დაკავშირებულია ერთგვარ რისკთან, პირადი ინტერესების ერთგვარ შეზღუდვებთან, თუ ასეთი რისკი სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის კანონით დაცულ ინტერესს.⁸³ მაგ: პირი ვერ გაიმართლებს თავს იმ მოტივით, რომ სამსახურში აგვიანდებოდა და ამიტომ არ გააჩერა მანქანა, როცა გზაში დაჭრილი კაცი დაინახა, ან არ უნდოდა სისხლით გაესვარა ახლად შეძენილი მანქანა და ა.შ.⁸⁴

არ არის აუცილებელი, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა მაინცდამაინც გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად იყოს წარმოშობილი. შესაძლებელია, მსხვერპლმა თვითონ, თავისი წინდაუხედაობით შეუქმნას საკუთარ თავს საფრთხე და ასე აღმოჩნდეს სხვის დახმარებაზე დამოკიდებული, მაგრამ თუ ის საკუთარ თავს განზრახ, თავისუფალი ნებით ჩაიყენებს მსგავს მდგომარეობაში (მაგ. უნდა თავი მოიკლას), მაშინ ეს ვერ შეფასდება უბედურ შემთხვევად და სხვა პირის დავალებულიება მიიღოს ზომები მის გადასარჩენად, არ იქნებოდა სწორი.

სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ზოგჯერ ისე შორს მიდის, რომ თვით თავდამსხმელის მიმართ დახმარების ვალდებულებასაც კი შეიცავს. მაგალითად:

ა მოკვლის მიზნით თავს დაესხა ბ-ს, თუმცა, ბ-მ მას დაასწრო და თავდაცვის მიზნით ჯიბის დანა ჩაართვა. დაჭრილი ა ჩაიკეცა და თავდასხმა შეწყვიტა. მას დაეწყო ძლიერი სისხლდენა

⁸³ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2002, გვ. 211;

⁸⁴ მ. მაყაშვილი; თ. მაჭავარიანი; თ. წერეთელი; თ. შავგულიძე; დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები), თბ., 1980, გვ.142-143;

და გადაუდებელ დახმარებას საჭიროებდა, თუმცა, გაბრაზებულმა ბ-მ არაფერი მოიმოქმედა და ის მიატოვა. ა გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ა იყო თავდამსხმელი, ბ მაინც აგებს პასუხს დაუხმარებლობისთვის - სსკ-ის 129-ე მუხლით. მას შემდეგ, რაც ა-ს მხრიდან თავდასხმა შეწყდა და არანაირი დამატებითი საფრთხე არ არსებობდა, ზოგადი სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე, ბ მას უნდა დახმარებოდა და თუნდაც სასწრაფო გამოემხებინა. დახმარების ვალდებულება არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლს თვითონ შეუძლია თავის თავს დაეხმაროს, სხვა პირი უკვე უწევს საჭირო და აუცილებელ დახმარებას საფრთხეში მყოფს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამნაშავეს შეუძლია უფრო უკეთესი და ქმედითი დახმარება გაუწიოს, მსხვერპლის გადარჩენა აშკარად შეუძლებელია და დახმარებას აზრი არ აქვს.⁸⁵

129-ე მუხლის დისპოზიციაში მოცემული ტერმინი „შეუტყობინებლობა“, თავისი შინაარსით სხვა ნორმებთან შედარებით შეიცავს სხვადასხვა დატვირთვას.⁸⁶

„სათანადო დაწესებულების ან პიროვნებისათვის დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა“ გულისხმობს იმ ორგანოს ან იმ პირს, რომლის მოვალეობაა სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაწევა. ასეთია მაგ: პოლიციის ორგანო, სასწრაფო დახმარება, სახანძრო რაზმი, ექიმი, დაზარალებულის ახლო ნათესავები, მეურვე, მზრუნველი, საბავშვო სახლის პერსონალი და სხვა. შეტყობინება, ცხადია, დროულად უნდა მოხდეს, ე.ი. ვიდრე არსებობს დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, თუ პირი მაგალითად, ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე, დაგვიანებით (ვთქვათ მეორე დღეს) ატყობინებს სათანადო დაწესებულებას ან პირს მომხდარი ფაქტის შესახებ, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 129-ე მუხლით, როგორც დახმარების აღმოუჩენლობა. დაუხმარებლობა ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია. დაუხმარებლობა წმინდა უმოქმედობას წარმოადგენს. თავად ფაქტი დახმარების აღმოუჩენლობის, დამთავრებული დანაშაულია და რაიმე შედეგის განხორციელება ამ დანაშაულისათვის საჭირო არ არის. თუ დაუხმარებლობას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ეს შედეგი კვალიფიკაციას არ შეცვლის, იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც დამამძიმებელი გარემოება. თავად უმოქმედობა კი, მიუხედავად ადამიანის სიკვდილისა, მაინც დაუხმარებლობად შეფასდება, თუნდაც დაუხმარებლობის მოტივი შურისძიება იყოს.⁸⁷

⁸⁵ ბ.ჯიშკარიანი; სისხლის სამართლის ჯერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ., 2016, გვ 132.

⁸⁶ პ. დაუთაშვილი; საქართველოს სისხლის სამართალი კერძო ნაწილი, თბ., 2008, გვ 58;

⁸⁷ იქვე გვ 59.

განსახილველი დანაშაულის სუბუექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. „129-ე მუხლით პასუხს არ აგებს ის პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს სპეციალური მოვალეობა, რომ იზრუნოს დაზარალებულზე, ასევე თანამდებობის პირები, რომელთაც პროფესიის შესაბამისად ეკისრებათ სამსახურეობრივი ვალდებულება იმ საშიშროებასთან ბრძოლისა, რამაც დაზარალებულის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. ასეთმა თანამდებობის პირმა სათანადო შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს თანამდებობრივი დანაშაულისთვის.⁸⁸

განსაცდელში მიტოვება დაუხმარებლობისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ განსაცდელში მიტოვებისას პირს დაკისრებული აქვს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ანუ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, დაუხმარებლობის დროს კი ასეთი სპეციალურ სამართლებრივი მოვალეობა არ არსებობს.⁸⁹

დაუხმარებლობის ჩადენა შესაძლებელია განზრახ. დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია, ამასთანავე, შესაძლებელია მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, მაგრამ, გულგრილად ეკიდება თავის ადამიანურ (ზნეობრივ) მოვალეობას და არ მოქმედებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორი ობიექტური დამოკიდებულებაც არ უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგისადმი (თუნდაც პირდაპირი განზრახვა), ეს ქმედების კვალიფიკაციას არ შეცვლის.⁹⁰

როგორც უკვე აღინიშნა, დაუხმარებლობის დროს დანაშაულის ამსრულებელია პირი, რომელსაც განსაცდელში მყოფ მეორე პირზე ზრუნვის სოლიდარული მოვალეობა ეკისრება, მაგრამ იბადება კითხვა, რამდენად ეკისრება რიგით მოქალაქეს იმის მოვალეობა, რომ შეეხმოს დამნაშავეებს და იბრძოლოს დამნაშავეთა თავდასხმის შედეგად საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანის გადასარჩენად?

ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ თუ ადამიანი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის შედეგად აღმოჩნდა, გვერდზე მყოფს აუცილებელი მოგერიების უფლება კი არა, აუცილებელი დახმარების მოვალეობა წარმოეშობა, მაგრამ 129-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში გვერდზე მყოფს არა აქვს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის დახმარების სპეციალური მოვალეობა. მას დახმარების ზოგადი სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება. გვერდზე მყოფი ვალდებულია ხელმყოფის დაზიანების გზით დაეხმაროს მას, ვისი მოკვლაც თავდამსხმელმა განიზრახა, რასაკვირველია იმ პირობით, თუ

⁸⁸ ზ. წულაია; სისიხლის სამართლის კერძო ნაწილი ტომი I (მეორე გამოცემა) თბ., 2003, გვ.152;

⁸⁹ მ.ლევკვიშვილი; ნ. თოდუა; გ.მამულაშვილი; სისიხლის სამართლის კერძო ნაწილი წ-იგნი I თბ., 2016 გვ 188-189;

⁹⁰ იქვე გვ 188-189;

მას ეს შეეძლო თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შეუქმნელად, როგორც ამას 129-ე მუხლი ითვალისწინებს.⁹¹

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დახმარების სოლიდარული მოვალეობა შეიძლება წარმოეშვას თავდამცველს აუცილებელი მოგერიების დროს დაჭრილი თავდამსხმელის მიმართ. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, აუცილებელი მოგერიების დროს ხელყოფისას თავდამცველს მის მიერ განხორციელებული თავდაცვითი ქმედების შედეგად დაჭრილი თავდამსხმელის მიმართ გარანტის მოვალეობა არ წარმოექმნება. თუ თავდასხმისას თავდამცველი დააზიანებს თავდამსხმელს ისე, რომ თავდამსხმელი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდება და თავდამსხმელისგან ხელყოფის საფრთხე არ მომდინარეობს, მაშინ თავდამცველს თავდამსხმელის მიმართ უჩნდება არა სამართლებრივი, არამედ სოლიდარული მოვალეობა. მაგრამ, თუ თავდამსხმელი თავდამცველის ოჯახის წევრია, თავდამსხმელის მიმართ თავდამცველს არა თუ სოლიდარული, არამედ სამართლებრივი მოვალეობა ეკისრება. შესაბამისად, თუ თავდაცვითი მოქმედების შედეგად დაჭრილ თავდამსხმელს თავდამცველი არ დაეხმარება, თავდამცველს პასუხისმგებლობა განსაცდელში მიტოვებისთვის და არა დაუხმარებლობისთვის დაეკისრება, ვინაიდან თავდამსხმელი თავდამცველის ოჯახის წევრია, ხოლო, თუ უმოქმედობას დაჭრილის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, იგი არა მხოლოდ უმოქმედობისთვის, არამედ დამდგარი შედეგისთვის დაისჯება.⁹²

დაუხმარებლობა განზრახი დანაშაულია, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ არ ეხმარება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს. თუ თვითმხილველმა ვერ აღიქვა განსაცდელში ადამიანის ყოფნის ფაქტი და ამის გამო ვერ აღმოუჩინა მას დახმარება, თვითმხილველს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. პასუხისმგებლობა გამოირიცხება ასევე მაშინაც, როცა თვითმხილველმა იცის, რომ განსაცდელში მყოფს სხვა ეხმარება. დაუხმარებლობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია და იგი დამთავრებულად ითვლება სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობისას. თუ მოვალეობის შეუსრულებლობას მძიმე შედეგი მოჰყვა ადამიანის გარდაცვალების ან მისი ჯანმრთელობის დაზიანების სახით, დამნაშავე დამდგარი შედეგისთვის პასუხს არ აგებს.⁹³

⁹¹ ო. გამყრელიძე; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება მე-2 გამოცემა თბ., 2088, გვ 215-216;

⁹² Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 292, §15 Rn-ციტატა მოტანილია ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხის ნაშრომიდან, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი I თბ., 2011, გვ 293.

⁹³ თ წერეთელი; სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 177. საწინააღმდეგო მოსაზრებაზე იხ. გ. ნაჭყებია; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 239.

ვინაიდან განსაცდელში მყოფი პირისთვის რიგითი მოქალაქის მიერ დახმარების აღმოჩენის მოვალეობა პირველ რიგში ზნეობრივი ნორმიდან მომდინარეობს, სისხლის სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული თვალსაზრისით, დაუხმარებლობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას გასათვალისწინებელია პირის როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება და ზოგადი (პირველდაწყებითი) განათლება,⁹⁴ ისე პიროვნული თავისებურებანი და წარმომავლობა. ამავე შეხედულებით, დაუშვებელია იმ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა, რომელიც კულტურული კუთვნილებიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით სხვა რელიგია და მსოფლმხედველობა. მაგალითად, როგორც ცნობილია, ისლამურ ქვეყნებში სხვა მორალურ-რელიგიური შეხედულებებია გაბატონებული, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ ისლამურ ქვეყნებში ყურანი სახელმძღვანელო ინსტრუქციას წარმოადგენს არა მხოლოდ მორალურ-რელიგიური, არამედ სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისითაც.⁹⁵

მოყვანილი მსჯელობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთერთ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში: პაკისტანის მოქალაქე ა., რომელიც ისლამის მიმდევარი იყო, ჩავიდა გერმანიაში. მის მეზობლად ცხოვრობდნენ 49 წლის ქალბატონი კ. და მისი მეგობარი მამაკაცი ლ. ისინი ხშირად სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს და ხმამაღლა კამათობდნენ და ჩხუბობდნენ. ერთ საღამოს კ. და ლ. ძლიერ შეკამათდნენ. ა.-ს ესმოდა კ.-ს და ლ.-ს ჩხუბის ხმა. 22:30 საათზე ა.-ს კარზე გაისმა კაკუნის ხმა. როცა ა.-მ კარი გააღო, კართან იდგა ქვედა საცვალისა და მაისურის ამარა (არასაკმარისად შემოსილი) მყოფი კ., რომელმაც ა.-ს სთხოვა სასწრაფო დახმარებისთვის დაერეკა. ა.-მ ქალის ფეხზე, რომელსაც ალკოჰოლის სუნი ასდიოდა სისხლი შენიშნა. ზიზღის, სიძულვილის გამო და იმის შიშით, რომ ჩხუბში არ ყოფილიყო ჩათრეული, ა.-მ კარი დაკეტა და დასამინებლად დაწვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ა.-ს ოთახში არ ჰქონდა ტელეფონი და სასწრაფო დახმარებისთვის დასარეკად გარეთ გასვლა სჭირდებოდა. გარდა ამისა, ა.-ს არ უნდოდა საკუთარი თავი საფრთხეში ჩაეყენებინა, ვინაიდან ლ.-სგან ცუდი მოპყრობის საშიშროება შეიქმნებოდა. მანამ, სანამ კ. ა.-ს დახმარებას სთხოვდა, ლ.-მ იგი დანით დაჭრა, რის გამოც კ. 23:00 საათზე გარდაიცვალა. ექსპერტმა დაადგინა, რომ თუ ა.კ.-ს

⁹⁴ Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 2258, §323c Rn. 7;

⁹⁵ Sonnen B-R.,kulturkonflikt und Verbotsirrtum,Neue Kriminalpolitik,1990 Heft 4-s/ 42;

დახმარებას დაუყოვნებლივ აღმოუჩენდა, მისი გადარჩენა შესაძლებელი იყო. აღნიშნულის გამო ლ.-ს მსჯავრი დაედო მკვლელობისთვის, ხოლო ა.-ს დაუხმარებლობისთვის.⁹⁶

მოცემულ შემთხვევაში ა. მოიქცა ისლამურ ქვეყანაში არსებული მორალური და რელიგიური ნორმების შესაბამისად, რომელსაც ა.-ს მიმართ სავალდებულო ძალა ჰქონდა, ვინაიდან იგი შეაძრწუნა არასაკმარისად ჩაცმული მთვრალი უცხო ქალის ნახვამ, რაც გახდა ა.-ს უმოქმედობის ერთ-ერთი საფუძველი. თუ გავითვალისწინებთ ისლამურ ქვეყნებში მოქმედ მორალურ-რელიგიური ნორმების მოთხოვნას, რომელსაც მოქმედი სამართლის ძალა აქვს, საკამათოა, რამდენად ჰქონდა ა.-ს გაცნობიერებული, რომ აკრძალულ ქმედებას ახორციელებდა. გარდა ამისა, პაკისტანში დაუხმარებლობა არ ისჯება. მაშინ, როცა ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ყველა ადამიანს მოეთხოვება გაჭირვებაში მყოფისთვის დახმარების აღმოჩენა, ყურანი ასეთ მოთხოვნას არ აწესებს. დახმარება შეიძლება გაეწიოს მორწმუნეებს ომის დროს. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, არამორწმუნესთვის დახმარების აღმოჩენა დაუშვებელია. პირიქით, ის ვინც მორწმუნე არ არის, უნდა განადგურდეს. აქ ადგილი აქვს კულტურულ კონფლიქტს ისლამსა და ქრისტიანობას შორის.

ბ. ზონენის მართებული თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ა.-მ დაუშვა შეცდომა აკრძალვაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პაკისტანის მოქალაქე ა. რომელიც ჩვეულებრივი მუშა იყო, გერმანიაში არ იყო დიდი ხნის ჩასული (დაახლოებით ერთი წლის), აგრეთვე, მან არ იცოდა გერმანული და დაუხმარებლობაც გერმანული კანონმდებლობით სულ 50 წლით ადრე გამოცხადდა დასჯად ქმედებად ანუ მას არ ჩაუდენია ისეთი ქმედება, რომელიც ყოველთვის დასჯადი იყო, რომელთა განხორციელება, ყველამ იცის, რომ დაისჯება.⁹⁷

კიდევ ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო დაუხმარებლობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან. შემდგომში წარმოდგენილ მაგალითს შევხვები მხოლოდ დაუხმარებლობის ნაწილში, რადგან მხოლოდ 129-ე მუხლით არ შემოიფარგლება სასჯელი და აღნიშნული სცილდება ამ კონკრეტულ მომენტში ჩვენი ინტერესის საგანს. კერძოდ, შემთხვევა მდგომარეობს შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენით ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით - 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 115-ე

⁹⁶ ყურანი, რომელიც ისლამის წმინდა წიგნია, მუსლიმანური სამართლის პირველი წყაროა. იხ. რ.დავიდი; თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თ. ნინიძემ, თბ., 1993, გვ. 337

⁹⁷ იქვე გვ 337.

მუხლით - 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 129-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. ლ. გ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 24 მარტიდან. 2010 წლის 22 იანვარს ლ. და ს. გ-ბი, ლ. გ-ს კუთვნილი „მერსედეს-ც« კლასის ავტომანქანით, სახ.¹..., მივიდნენ ქ. ..., ... ქუჩა ¹...-ში არსებულ სლოტ-კლუბში, რომელიც ეკუთვნის ლ. გ-ს ნაცნობ გ. ხ-ს. მისვლისას მათ შეხვდათ ამავე კლუბის მენეჯერი მ. ც-ი, რომელსაც ლ. გ-მა მოსთხოვა, მეპატრონისათვის დაეძახა, რადგან მასთან გასარკვევი ჰქონდა ურთიერთობა. მ. ც-ი დასთანხმდა და შეატყობინა გ. ხ-ს, რომ მას კითხულობდა ლ. გ-ი. რამდენიმე წუთში მ. ც-ი გ. ხ-თან ერთად მივიდა სლოტკლუბთან, სადაც ზემოხსენებულმა პირებმა ერთმანეთთან ისაუბრეს. საუბარი შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ ლ. გ-მა, მ. ც-ს რჩევით, გ. ხ-თან ერთად 37000 აშშ დოლარად შეისყიდა „...« სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სლოტ-კლუბი, რომელიც ორი თვის მუშაობის შემდეგ გაკოტრდა. ამის შემდეგ ლ. გ-ი ითხოვდა ჩადებული თანხის დაბრუნებას როგორც ლ. ხ-ს, ასევე მ. ც-აგან. დაახლოებით 15 წუთში ლ. გ-მა საქეიფოდ წასვლის მოტივით, მ. ც-ს უთხრა, გაჰყოლოდა და ამ გზით დაითანხმა იგი, რის შემდეგაც ზემოხსენებული ავტომანქანის საჭესთან კვლავ დაჯდა ს. გ-ი, გვერდით ჩაუჯდა ლ. გ-ი, ხოლო უკანა სავარძელზე კი _ მ. ც-ი. გზაში ლ. გ-მა მ. ც-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე უთხრა, რომ თანხას, რაც მას ჩადებული ჰქონდა სლოტ-კლუბში, აუცილებლად მოსთხოვდა, თან საუბრისას მ. ც-ს კვლავ აყენებდა შეურაცხყოფას. ავტომანქანაში ლ. გ-მა განაცხადა, რომ უნდა ასულიყვნენ თბილისის ზღვაზე საქმის გასარჩევად, რაზეც მ. ც-მა მოსთხოვა მათ, გაეჩერებინათ ავტომანქანა, რაც ს. გ-მა და ლ. გ-მა არ შეასრულეს და წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება მ. ც-ს და არ მისცეს მას ავტომანქანიდან გადასვლის საშუალება. ლ. გ-ი განაგრძობდა შეურაცხყოფის მიყენებას. ამგვარი ქმედებით მ. ც-ი მიიყვანა თვითმკვლელობამდე. ამ დროს ისინი მოძრაობდნენ ... ქუჩაზე, სადაც რესტორან „...« მიმდებარე ტერიტორიაზე მ. ც-ი, თვითმკვლელობის მოტივით, მიმავალი ავტომანქანიდან გადახტა, რა დროსაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები. აღნიშნული შენიშნეს ს. გ-მა და ლ. გ-მა. მიუხედავად ამისა, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ მ. ც-ს არ აღმოუჩინეს აშკარად აუცილებელი, გადაუდებელი დახმარება და შემთხვევის ადგილიდან მიიმაღნენ. მ. ი კი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.⁹⁸

⁹⁸ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისიხლის სამართლის საქმეზე- 2011, № 7-9. გვ 11.

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების სხდომებზე დაკითხვებისას ს. გ-მა არსებითად შეცვალა ზემოთ მითითებული გარემოებები. ს. გ-მა განსასჯელისა და მსჯავრდებულის სახით დაკითხვებისას უჩვენა, რომ მათ გზაში გადაწყვიტეს რესტორან „...» წასვლა. ... ასახვევს რომ გასცდა, ლ-მ ჰკითხა, თუ სად მიდიოდა. მან უპასუხა, რომ ... მიდიოდა და მანქანების ბაზრობის მხრიდან გადავიდოდა ... სანაპიროზე, რაც მას არ მოეწონა და უთხრა – «რა კრუგებს მარტყმევიწებ, აქედანვე შევსულიყავითო». მ-მა უპასუხა: «რა მოხდა ... გადავალთო». ამაზე ლ. მ-ს უთხრა: „რა გინდა, ..., რა ტვინი შეჭამე, შენ უნდა მასწავლო საიდან წავიდეთ» და გააგრძელა გზა. სასტუმრო „...» მანქანა, ალბათ, 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. მ. ც-მა მას უთხრა, რომ გაეჩერებინა მანქანა, მან დაიწყო მანქანის მოძრაობის შენელება, რა დროსაც გაიგო უკან კარის გაღების ხმა და თვალი მოჰკრა, თუ როგორ გადახტა მ-ი. მას მიაჩნია, რომ მ-ი გადახტა, ვინაიდან მანქანა ბოლომდე გაჩერებული არ ჰყავდა. მას სურდა მანქანის გაჩერება, მაგრამ ლ-მ გაიხედა უკან და უთხრა – «წადი, მ. წამოდგა და ფეხზე დგასო». მას მ-ს დაცემისა და ფეხზე წამოდგომის მომენტი არ დაუნახავს, ვინაიდან მანქანას გვერდითი სარკეები არ ჰქონდა. მას გ-სთან არ დაურეკავს, მ-სათვის დარეკვა და სიტუაციის გარკვევა არ უთხოვია. გზაში ლ-მ უთხრა, რომ გ-სთან უნდა დაერეკა, რომელსაც სატელეფონო საუბარში ლ-მ უთხრა, რომ მ-ი მანქანიდან გადახტა და რომ დაერეკა მასთან და გაერკვია, თუ რატომ გადახტა მანქანიდან. ამის შემდეგ მან ლ. მიიყვანა სახლში. მისი აზრით, მ-ს გადახტომის მიზეზი გახდა ლ-ის მხრიდან მ-ს მიმართ წარმოთქმული უცენზურო სიტყვები. მისი ჩვენებით, მას ბოლომდე არ ჰყავდა გაჩერებული მანქანა, მაგრამ, ვინაიდან დაიწყო სიჩქარის შენელება, მ-მა ჩათვალა, რომ მანქანა გაჩერებული იყო, ვერ გათვალა და ეცადა მანქანიდან გადმოსვლას.⁹⁹

სსიპ „ლ. ს-ს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს» 2010 წლის 5 თებერვლის ექსპერტის 80/33 დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ «მ. ც-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია თავის ტვინის ნივთიერების დაჟეჟილობა, შეშუპება, ღეროს დისლოკაცია და ჩაჭედვა კეფის დიდ ხვრელში, განვითარებული ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის შედეგად, ქალა-სარქველის და ფუძის ძვლების მრავალფრაგმენტოვანი მოტეხილობით, ქალას ღრუში და ტვინის ნივთიერებაში დიფუზური სისხლჩაქცევებით.¹⁰⁰

პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო პალატის სხდომებზე დაკითხვებისას მსჯავრდებულ ლ. გ-ს ჩვენებების თანახმად, მ. ც-ს მანქანიდან გადახტომის შემდეგ მან გაიხედა მანქანიდან და დაინახა, რომ მ. ც-ი ფეხზე იდგა და ივარაუდა, რომ მას დასახმარებელი არაფერი

⁹⁹ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისიხლის სამართლის საქმეზე- 2011, № 7-9. გვ 13.

¹⁰⁰ იქვე გვ 14.

სჭირდა. მ. ც-ს მოქმედებაზე ივარაუდა, რომ მისი სიტყვები ეწყინა და ამიტომ მოიქცა ასე. ვინაიდან მას არ ჰქონდა მ. ც-ს ტელეფონის ნომერი, დაუკავშირდა გ. ხ-ს, უთხრა, რაც მოხდა და სთხოვა მოეკითხა მისი ამბავი, თუმცა, როგორც გ. ხ-საგან გაიგო, მ. ც-ი ტელეფონს არ პასუხობდა. ამავე სხდომებზე მსჯავრდებულ ს. გ-ს დაკითხვისას მიცემული ჩვენებების თანახმად, მანქანა ბოლომდე გაჩერებული არ ჰყავდა, როდესაც გაიგო უკანა კარის ხმა და დაინახა მ. ც-ს სილუეტი, რომელიც მანქანიდან «გადადიოდა», სავარაუდოდ – გადახტა. მან უკან ვერ გაიხედა, ვინაიდან მანქანას გვერდითი ხედვის სარკეები არ ჰქონდა. ლ. გ-მა გაიხედა და უთხრა, რომ მ. ც-ი ფეხზე იდგა და გზა გაეგრძელებინა. დაახლოებით 2-3 წუთში ლ. გ-მა დაურეკა გ. ხ-ს და უთხრა მომხდარის შესახებ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ს. და ლ. გ-ების პოზიციები საქართველოს სსკ-ის 129-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე ეწინააღმდეგება თავად მსჯავრდებულ ლ. გ-ს პოზიციას, რომელმაც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ამ ნაწილში თავი დამნაშავედ ცნო და ასევე – მოწმე გ. ხ-ს ჩვენებას, რომელმაც აღნიშნა, რომ მ. ც-ს მანქანიდან გადახტომის შემდეგ მას დაურეკა ლ. გ-მა და შეატყობინა მომხდარის შესახებ, ასევე ესაუბრა ს. გ-საც. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თუკი მ. ც-ი თითქმის გაჩერებული მანქანიდან გადმოვიდა, ფეხზე წამოდგა, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა და ამის გამო მათ გააგრძელეს გზა, მაშინ საინტერესოა, თუ რატომ დაურეკეს გ. ხ-ს და რატომ უთხრეს, რომ მ. ც-ი მანქანიდან გადმოხტა და სთხოვეს, მოეკითხა იგი. ლ. გ-მა გ. ხ-თან დარეკვა იმით ახსნა, რომ მას არ ჰქონდა მ. ც-ს ტელეფონის ნომერი, მასთან რომ დაერეკა, თუმცა, საინტერესოა, რაში დასჭირდათ მათ გ. ხ-თან დარეკვა, როცა შეეძლოთ გაეჩერებინათ მანქანა და თვითონ მოეკითხათ მ. ც-ი.

საკასაციო პალატა ასევე თვლის, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის თანახმად დადგენილი, მ. ც-სათვის მიყენებული ტრავმები შეუძლებელია, ადამიანს მიეღო თითქმის გაჩერებული მანქანიდან გადმოსვლისას. იმავე დასკვნით მ. ც-ს გვამს არ ეტყობოდა ავტომანქანის საბურავის კვალი. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ტრავმა მას მიყენებული აქვს ავტომანქანიდან გადმოხტომისას, რაც მსჯავრდებულებმა კარგად იცოდნენ; მათ ასევე კარგად იცოდნენ, თუ რა საშიშროება და საფრთხე ემუქრებოდა მის სიცოცხლეს, მაგრამ, პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით, არ გაუწიეს დახმარება, მიიმაღლნენ შემთხვევის ადგილიდან და დაურეკეს გ. ხ-ს, რათა მოეკითხა მ. ც-ი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულებმა _ ს. გ-მა და ლ. გ-მა ჩაიდინეს თავისუფლების უკანონო აღკვეთა და დაუხმარებლობა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სასამართლომ დადგინა შემდეგი :

მსჯავრდებულ ს. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. მსჯავრდებულ ლ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 11 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება: შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. მსჯავრდებულ ლ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა« ქვეკუნქტით, 129-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.¹⁰¹

¹⁰¹ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე- 2011, № 7-9. გვ 15.

თავი III. კვლევის შედეგები

ჩემი, როგორც სამართალ მცოდნის ინტერესიდან გამომდინარე განვიხილე სსკ -ის ორი მნიშვნელოვანი და საკმაოდ საინტერესო საკითხი - განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა. ჩემს ინტერესს წარმოადგენს მათი სიღრმისეული ანალიზი, თითოეული მახასიათებელი და დეტალი, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია საკითხის გასაანალიზებლად. აგრეთვე აღნიშნული მუხლების მახასიათებლები და განმასხვავებელი ნიშნები. კითხვის დროს თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს ორი მუხლი საკმაოდ გავს ნიშან-თვისებით ერთმანეთს და ასევე აქვს ის განმასხვავებელი დეტალები, რომელიც ერთი შეხედვით თითქმის რთული ამოსაცნობია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული საკვლევი თემის დეტალური ანალიზი.

გარდა ამისა, ჩემს ნაშრომში მოყვანილი მაგალითები მეტყველებს იმაზე, რომ საკვლევი თემა დღეს არ აღმოცენებულა და ის ახალი არ არის. განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა, რა თქმა უნდა დროსთან და საზოგადოებასთან ერთად ცვალებადი ნორმაა, თუმცა მისი მნიშვნელობა უცვლელია. საბჭოურ კანონმდებლობაშიც კი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ხსენებულ დანაშაულებს, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ყოფა და გასული საუკუნეები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან იქნება ეს შეხედულებები, მორალი თუ ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება, დანაშაული არ რჩებოდა კანონის მიღმა. ამაზე კი ის მიუთითებს, რომ მოყვანილი მაგალითები ძალიან გავს ერთმანეთს და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

რაღა თქმა უნდა, კანონის ამოსავალი დებულება და ღირებულება ყოველი ადამიანის უფლების დაცვაა, თანაბარ მდგომარეობაში და უფლებებში მათი მოქცევა და არც სსკ-ის 128 და 129-ე მუხლებია გამონაკლისი, რადგანაც მათი დასჯადად აღიარება მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვას. კერძოდ, კანონი ავალდებულებს პიროვნებას დახმარება აღმოუჩინოს გასაჭირში მყოფ ნებისმიერ მოქალაქეს და კანონიც შესაბამისად აფრთხილებს, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კანონი არ გამოყოფს იმ წრეს, თუ ვის შეიძლება ან არ შეიძლება გაეწიოს დახმარება და რაღა თქმა უნდა, ეს სხვანაირად არც შეიძლება იყოს. კანონი მხოლოდ გამოყოფს გარანტის ფუნქციებს, ახლო ნათესავების და ოჯახის წევრების მოვალეობებს, რომ ისინი უპირველესად არიან პასუხისმგებლები ერთმანეთის მიმართ.¹⁰²

¹⁰² მ. ტურავა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; მე-9 გამოცემა; თბ., 2013, გვ 278.

აგრეთვე კანონი არ აღჭურავს გარანტიის ფუნქციით მეგობრებს, შეყვარებულებს, განქორწინებულ ცოლ ქმარს. ამის მიზეზად მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება მხოლოდ მორალურ ვალდებულებებზე ავაგოთ გარანტიის ფუნქციები, როდესაც ორ ადამიანს მხოლოდ ახლო ურთიერთობა აქვს ერთმანეთთან და არა ნათესაური ან ოჯახური ვალდებულებები.¹⁰³ აგრეთვე ამ საკითხზე მეცნიერთა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ თუ ნათესავეებს არ აქვთ კარგი ურთიერთობა და გარკვეული შემთხვევის დროს ისინი ამ სუბიექტური დამოკიდებულების გამო არ გადაარჩინენ განსაცდელში მყოფ ნათესავს, თავადვე სვამენ კითხვას – რა საფუძვლით უნდა აგოს პასუხი ასეთი სუბიექტური დამოკიდებულების მქონე ნათესავმა? აქვე კი მიჩნდება კითხვა: თუ არც ნათესაობა არ არის გარანტიისთვის საკმარისი პირობა და არც ახლო მეგობრობა, მაშინ რაზეა აგებული ეს მექანიზმი? მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებზე, რომელთაც სპეციალური მოვლა სჭირდებათ თუ დედა-შვილის ურთიერთობაზე? მაშინ ხომ არც ამ დროს გვექნება იმის 100% გარანტია, რომ დედას და შვილს ერთმანეთის მიმართ კარგი დამოკიდებულება ექნებათ ან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანს კარგი მომვლელი შეხვდება და ის კეთილსინდისიერად შეასულებს თავის მოვალეობას? ვფიქრობ, კანონმდებელი ორ ალტერნატივას შორის ეძებს საუკეთესო რგოლს, მაგრამ ეს ალტერნატივა მეტად ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველი გამოდის. ეს უფრო მეტ კითხვას ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და რა სტანდარტებით უნდა შევაფასოდ მომხდარი მოვლენები. აქედან გამომდინარე, არის კიდევ ერთი მხარე ამ სიტუაციაში – ადამიანები არასტაბილურნი არიან ერთმანეთის, სიტუაციების და მდგომარეობების შესაბამისად. არასდროს გვექნება ზუსტი შეფასების მექანიზმი, თუ ვინ როდის უფრო საიმედო დახმარებას აღმოგვიჩენს საჭიროების დროს. სწორედ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები მამძლევს იმის საფუძველს, რომ ეჭვი შევიტანო აღნიშნულ საკითხში.

დღეს გავრცელებულ სამართალდარღვევათა სიაში მრავლადაა ოჯახური დანაშაულები, მკვლელობა ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავეებს შორის. ამიტომ მოლოდინი იმისა, რომ ოჯახის წევრი აუცილებლად შეასრულებს კანონიერ მოთხოვნას კანონის ძალით, არც ისე დამაჯერებელია. შესაბამისად, კანონის მიერ ადამიანების დაყოფა ერთმანეთთან ახლოს და შორს მდგომებად, ვფიქრობ ფორმალურია. მართალია, მორალურად გამართლებულია და კეთილსინდისიერების პრინციპი სწორედ ურთიერთდახმარების ვალდებულებაზე უნდა იყოს აგებული ადამიანებს შორის, მაგრამ, სამწუხაროდ დღეს ნათესავეებსა და ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობები იმდენად არასტაბილურია, რომ ადამიანისთვის კანონის ამგვარი დავალდებულებაც, ალბათ ბევრ

¹⁰³ Schonke/Schroder-Stree, §13/Rn.53;

შემთხვევაში უცნობია და ის ფორმალურად რჩება დაწერილი. ზოგისთვის ამგვარი დავალდებულება არც არის საჭირო და მეც ვემხრობი მათ მიდგომას, თუმცა იმ ნაწილისთვის, რომელიც ადამიანურ დონეზეც კი უარყოფს ამგვარ პრინციპებს, რაღა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხი კანონმდებლობის ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული, მაგრამ მეტად საჭიროებს დახვეწას და თუნდაც დღევანდელ რეალობაში ადამიანებამდე მიტანას, მისი არსებობის მიზნის გამართლებისა და დანიშნულების აღსრულებისათვის.

ასევე საკმაოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია საკითხი, რაზეც მეცნიერთა ერთი ნაწილი საუბრობს, პრობლემა კი შემდგომშია: ქმარი არჩევანს აკეთებს განსაცდელში ჩავარდნილ ცოლსა და ახალგაზრდა პირს შორის, თუ რომელი უნდა გადაარჩინოს. ის გადაარჩენს უცნობ პიროვნებას და არ აღმოუჩენს დახმარებას თავის ცოლს.¹⁰⁴ მეცნიერთა ნაწილი გარანტის ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევს მართლზომიერად, თუმცა მეორე ნაწილი მას არ ეთანხმება. ჩემი პოზიცია მეორე ნაწილს ემხრობა. გამომდინარე იქიდან, რომ საუბარია ისევ გარანტის მოვალეობაზე და კანონი ავალდებულებს გარანტს, უპირველად დახმარება აღმოუჩინოს მის მეუღლეს როგორც გარანტმა, მაშინ მისი არჩევანის საშუალება რომელ კანონიერ ჩარჩოში შეიძლება მოვაქციოთ, როდესაც დახმარებას აღმოუჩენს უცნობ პიროვნებას? თუ ამ დროს პირს აქვს შესაძლებლობა არჩევანის გააკეთოს ორ სამართლებრივ სიკეთეს შორის, მაშინ სხვა სიტუაციაში აქვს თუ არა გარანტს იმის შესაძლებლობა, რომ რაიმე ალტერნატივაზე იფიქროს? აღნიშნულს ისევ წინააღმდეგობამდე მივყავართ და გარანტის ფორმალურ ხასიათს უსვამს ხაზს.

მ. ტურავა ავითარებს თვალსაზრისს, ხომ გარანტის პასუხიმგებლობის გამორიცხვის ერთ-ერთი გარემოებად შეიძლება მივიჩნიოთ მსხვერპლის სურვილი, საკუთარ თავს დაუშაოს რაიმე ან თავისი სურვილით შეწყვიტოს სიცოცხლე.¹⁰⁵ აღნიშნული ერთდროულად გასაგებიც არის და გაუგებარიც. გასაგებია იმ თვალსაზრისით, რომ თუ პიროვნება ისეთ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს, რომ თავისი მოქმედებით მოისპობს სიცოცხლეს, მაშინ, როდესაც გარანტს არ ჰქონდა მისი დახმარების არანაირი შესაძლებლობა და მისი მოქმედებით ვერც გადარჩებოდა განსაცდელში მყოფი, ამ დროს ცხადია კანონდებელი პასუხს არ მოსთხოვს გარანტს,¹⁰⁶ მაგრამ აქ საუბარია სურვილზე და არა დამდგარ შედეგზე. მხოლოდ პიროვნების სურვილი საკმარისი არ უნდა იყოს გარანტის პასუხიმგებლობისაგან გასათავისუფლებლად, რადგან კანონი ასეთ შედეგათებს არ უშვებს მათ მიმართ, ვინც უმოქმედობს და ელოდება სხვისი სიცოცხლის განაგდურებას.

¹⁰⁴ მ. ტურავა; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; მე-9 გამოცემა; თბ., 2013, გვ 281.

¹⁰⁵ მ. ტურავა; სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 239 .

¹⁰⁶ იქვე გვ 239.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ვფიქრობ, ამოსავალია დებულება იმისა, რომ კანონი არ იყოს მკვდარი ნორმა. განსაკუთრებით, განსაცდელში მიტოვების და დაუხმარებლობის დროს არის უპირველესად სოლიდარობის გრძნობა, გვერდში დგომის ელემენტარული სურვილი და ეს ყველაფერი ზოგადი განათლებიდან და პიროვნების აღზრდიდან გამომდინარეობს. სიახლე არ არის ის, რომ მოძალადე საზოგადოებაში გაზრდილი ბავშვი დიდი ალბათობით შეიძლება გახდეს მოძალადე, ამიტომაც მისგან ზუსტად იმასვე უნდა ველოდოთ, რაც მის აღზრდაში ჩადებული. მისთვის სხვისი განსაცდელი, დახმარება ნაკლებად მნიშვნელოვანია. ის უბრალოდ ვერც შეძლებს სხვისი პრობლემის დანახვას, რადგან უბრალოდ არ ეცოდინება, ეს როგორ უნდა გააკეთოს. ამას სამწუხაროდ კანონი ვერ მოაწესრიგებს, ამ მიდგომასთან კანონი უძლურია. ის აკეთებს თავის საქმეს და მისი მექანიზმები ამ კონკრეტულ მუხლებთან მიმართებაშიც მეტ-ნაკლებად ეფექტურია.

ასეთივე მიდგომას ვაწყდებით მაშინაც, როდესაც საუბარია სხვადასხვა რელიგიის ადამიანების წარმოდგენებზე და რწმენაზე. ჩემს მიერ კვლევის ძირითად ნაწილში მოყვანილია მაგალითი, თუ როგორ არ გაუწია დახმარება გერმანიაში მცხოვრებმა მუსულმანმა კაცმა დახმარების მთხოვნელ გერმანელ ქალს მაშინ, როდესაც ქალი სასწრაფოში დარეკვას სთხოვდა, მუსულმანი კაცის დაუხმარებლობამ კი ქალის სიკვდილი გამოიწვია.¹⁰⁷ აქ მთავარი არა მხოლოდ კანონისადმი დაუმორჩილებლობაა, არამედ ის, რომ მან სუბიექტური მიზეზის გამო თქვა უარი დახმარებაზე. ისლამურ სახელმწიფოში საკმაოდ მკაცრი აკრძალვები და წესები ვრცელდება მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთა მიმართ და ისინი არ აღიარებენ ბევრ უფლებას, რაც ქალს ეხება. აქედან გამომდინარე, მუსულმანი კაცის დამოკიდებულებაც ასეთი იყო, მას არ ესიამოვნა ნასვამი ქალის ნახვა თავისი სახლის კართან, რომელსაც ასევე სისხლის კვალი ჰქონდა ფეხსაცმელზე და არც საკუთარი ეროვნება ავალდებულებდა დახმარება აღმოეჩინა უცნობისათვის. სწორედ აქედან ამოვდივარ, როდესაც ვსაუბრობ, რომ მხოლოდ კანონი უძლურია ადამიანის მიდგომების და შეხედულებების წინაშე, კანონი ვერ ასწავლის ადამიანს ურთიერთპატივისცემას, სოლიდარულ დამოკიდებულებას და ზრუნვას, მან შეიძლება აიძულოს დაემორჩილოს ყველა, მაგრამ ის მაინც გაუგებარი დარჩება მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის.

საბედნიეროდ, საქართველოში კანონიც, რელიგიაც და ადამიანური ღირებულებებიც იმ სტადიაზეა, რომ ჯერ კიდევ შეგვწევს უნარი სხვისი განსაცდელი ხილული იყოს ჩვენთვის, არ

¹⁰⁷ ყურანი, რომელიც ისლამის წმინდა წიგნია, მუსლიმანური სამართლის პირველი წყაროა. იხ. რ. დავიდი; თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თ. ნინიძემ, თბ., 1993, გვ. 337.

ჩავუაროთ ქუჩაში ადამიანს ცივად, როდესაც მას გადარჩენა სჭირდება დანაშულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის ან რაიმე სხვა მიზეზით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ყოველთვიურად აწარმოებს დანაშაულის სტატისტიკას. აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით, განსაცდელში მიტოვებასა და დაუხმარებლობას შორის წინა პლანზე განსაცდელში მიტოვებაა წამოწეული სტატისტიკური მაჩვენებლებით. თუმცა სამწუხაროა, რომ 2016 წლიდან მოყოლებული თითქმის ყოველთვიურად 1-3 ადამიანამდე სჩადის განსაცდელში მიტოვებას.¹⁰⁸ ეს რიცხვები წლებთან ერთად მერყეობს - ზოგჯერ იზრდება, ზოგჯერ კი მცირდება, მაგრამ დანაშაული მაინც ფიქსირდება. რაღა თქმა უნდა, სხვა დანაშაულთან შედარებით ვერ ვიტყვით რომ აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან მაღალია, მაგრამ უწყინარი უმოქმედობის ფონზე, როდესაც ასეთი მარტივი რამ დაავალა კანონმდებელმა საზოგადოებას, მისი მაჩვენებელი ყოველთვიურად მაინც მერყევია. რატომღაც უფრო წინა პლანზე განსაცდელში მიტოვება დაუხმარებლობასთან შედარებით, ამაზე ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ, რადგანაც არ გვაქვს რაიმე კვლევა, რომელიც საქართველოში იქნებოდა ჩატარებული. თუმცაღა, ალბად იმიტომ, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ბრალეულად მიიყვანეს დაზარალებული მძიმე მდგომარეობამდე და პასუხიმგებლობის შიშით არ აღმოუჩინეს დახმარება. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია ავტოსაზგაო კატასტროფების დროს, როდესაც პიროვნებას ეჯახება ავტომანქანა და მძღოლი მიდის დანაშაულის ადგილიდან, არ აღმოუჩენს დახმარებას და მიატოვებს განწირულს სასიკვდილოდ ან სხვის იმედად, რომ მის საქმეს სხვა გააკეთებს, ვიღაც დაინახავს, ვიღაც დაეხმარება, ან სულაც არ აინტერესებს დაზარალებულის ბედი.

¹⁰⁸ <https://www.geostat.ge/media/16782/danarti-marti-2016.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.12.2020;

დასკვნა

სისხლის სამართლის კოდექსის XXI თავში მოცემულია დანაშაულის შემადგენლობები - განსაცდელში მიტოვება (128-ე) და დაუხმარებლობა (129-ე). აღნიშნული თემა მეტად საინტერესო აღმოჩნდა უშუალოდ კვლევის პროცესში, როგორც უკვე ავღნიშნე, კვლევის შედეგებში მათ აღმოაჩნდათ უამრავი მახასიათებელი და ასევე განმასხვავებელი ნიშნები.

განვიხილე უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის არსი სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებაში. აღნიშნული ნორმა უშუალოდ გვესაუბრება უმოქმედობაზე. შესაბამისად უმოქმედობა მაშინ ითვლება საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც კანონი გვაგაღებულებს მოქმედების სპეციალური მოვალეობას.

განვიხილე მოქმედებისა და უმოქმედობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხი. როგორც აღმოჩნდა, დანაშაულებრივი მოქმედების უმოქმედობისაგან გამიჯვნა რთული საკითხია, რადგან დანაშაულის მოქმედებით ჩადენის წინაპირობები დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის წინაპირობებისაგან განსხვავდება. აქედან გამომდინარე, მოქმედებით დანაშაულის ჩადენისას ნებისმიერი პირი აგებს პასუხს, ხოლო შერეული უმოქმედობისას, სსკ-ს მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პასუხიმგებლობა ენიჭება გარანტს. ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის უდიდიესი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულის გამიჯვნას.

ასევე განვიხილე უმოქმედობა მოქმედებით, საკითხი იმის შესახებ პირისათვის დახმარების გაწევა ყოველთვის უმოქმედობად ითვლება თუ სხეულებრივი ენერჯის გამოყენების გამო ეს ქმედება უნდა ჩაითვალოს მოქმედებად. აღნიშნულ მიდგომას მომხრეებიც ყავს და მოწინააღმდეგეებიც და ის დოგმატიკაში დღესაც საკამათოდ თვლება.

აღნიშნულ საკითხზე კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: როდესაც გამიჯვნა ხდება მოქმედებას და უმოქმედობას შორის და აღნიშნული საკამათოა, მიჩნეულია რომ უპირატესობა მოქმედებას უნდა მიენიჭოს. ვფირობ ეს ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს დანაშაულიდან გამომდინარე. მაგ: საკუთარი სახლის ეზოში მყოფი გ ხედავს, როგორ მისდევს ავი ძაღლი ვ-ს , ამ დროს გ გადაკეტავს ჭიშკარს და არ მისცემს შესაძლებლობას ვ-ს შევიდეს მის ეზოში, რომ ძაღლისაგან იხსნას თავი. მოცემულ მაგალითში ვერ დავეთანხმები მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელიც თვლის, რომ ადგილი აქვს უმოქმედობას. უმოქმედობას რომ ჰქონდეს ადგილი, პირმა არ უნდა მოიმოქმედოს არაფერი არც ვ-ს საწინააღმდეგოდ და არც მის სასიკეთოდ. მან უბრალოდ არ უნდა იღონოს არაფერი, რაც მის

ხელთაა, მაგრამ გ-ს შემთხვევა მოქმედებაა, რადგან ის შეგნებულად უკეტავს ეზოს ჭიშკარს და არ უშვებს ვ-ს ეზოში. შესაბამისად მან გამოიყენა ენერჯის და სხეულის დაძაბვა, ქმედება განხორციელდა ვ-ს საწინააღმდეგოდ.

რაც შეეხება შემდეგ საკითხს, აგრეთვე განვიხილე ამ თემატიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური სამართლებრივი გარანტის ფუნქცია. აღნიშნულის შესახებ უკვე წარმოვადგინე ჩემი დამოკიდებულება სამართლებრივი გარანტის ირგვლივ და აქ აღარ განვმეორდები.

შემდეგომი განსახილველი თემა, რომელსაც შევეხე, ეს არის დანაშაულის მომზადება წმინდა და შერეული უმოქმედობის დროს. კვლევისას გამოიკვეთა საკითხის იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა მცდელობა წმინდა და შერეული უმოქმედობის დროს. შესაბამისად დადგინდა, რომ წმინდა უმოქმედობის დროს შედეგის დადგომის მიუხედავად შესაძლებელი მხოლოდ დანაშაულის მომზადებაა, მცდელობა კი დოგმატიკურად შეუძლებელია, ხოლო შერეული უმოქმედობის დროს ისევე შესაძლებელია მცდელობა, როგორც დანაშაულის მოქმედებით განხორციელება.

აგრეთვე შევეხე შემდეგ საკითხს: განზრახი დამთავრებული დანაშაულის ქმედების შემადგენლობა შერეული უმოქმედობის დროს. უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემა გასულ საუკუნეში ერთ-ერთ აქტიურ სისხლის სამართლებრივ პრობლემად ითვლებოდა. დისკუსია იმის შესახებ, მიზეზობრივი კავშირი უმოქმედობისას პრევენციული, შესაძლო მიზეზობრივი კავშირია თუ ნამდვილი მიზეზობრივი კავშირი, უკვე ას წელზე მეტია მიმდინარეობს. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლისთვის ნულის ტოლია.

ბოლოს კი საკითხი სრულდება შემკვრელი რგოლით - განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა. ხსენებული დანაშაულები გავანალიზე და წარმოვადგინე მათი ინდივიდუალური მახასიათებლები, მოვიყვანე სასამართლო პრაქტიკიდან ძველი და ახალი ჩვენი დროის მაგალითები, რაც უფრო მარტივად დაანახებს მკითხველს კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას, რადგან მხოლოდ თეორიული (მეცნიერული) ნაწილი ყოველთვის ისეთი მარტივი აღსაქმელი არ არის, როგორც პრაქტიკიდან მოყვანილი რეალური ფაქტები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი თემა - განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა, ვფიქრობ ნათელს მოჰყენს წარმოდგენას ამ თემის გარშემო. ნაშრომში წარმოდგენილია ასევე გერმანელ ავტორთა ნააზრევი და ის თითქმის არ განსხვავდება ქართული

სამეცნიერო კვლევებისგან, რადგანაც, როგორც ცნობილია, ქართული კანონმდებლობა წარმატებით ავითარებს გერმანული კანონმდებლობის მოდელს. მცირე გადახვევები სხვა რელიგიისა და რასის ადამიანთა წარმოდგენებზე იდეალურად უსვამს ხაზს ჩვენი კანონმდებლობის მახასიათებლებს და მათ ფონზე უკეთ აღქმადია ქართული კანონმდებლობის ფუძემდებლური პრინციპები და მოთხოვნები.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი., თბ 2011;
2. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება მე-2 გამოცემა., თბ 2018;
3. დაუთაშვილი პ., საქართველოს სისხლის სამართალი კერძო ნაწილი., თბ 2008;
4. დვალიძე ი., შერეული უმოქმედობის დასჯადობის ზოგიერთი პრობლემა სისხლის სამართალში, „ცხოვრება და კანონი“, სპეციალური გამოშვება., თბ 2012;
5. დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა ყურანი და წინასიტყვაობა დაურთო თ., ნინიძემ., თბ 1993;
6. თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-4 გამოცემა., თბ 2012;
7. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I., თბ 2016;
8. მაყაშვილი მ., მაჭავარიანი თ., წერეთელი თ., შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები., თბ 1980;
9. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი თბ 2016;
10. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები., თბ 2011;
11. მჟავანაძე ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი კომენტარები., თბ 2000;
12. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო., თბ 2011;
13. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ., თბ 2002;
14. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება., თბ 2011;
15. ტურავა.მ.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა; მე-9 გამოცემა., თბ 2013;

16. ტყეშელაძე გ., ნაჭყებია გ., დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო., თბ 2007;
17. უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში., თბ 1982;
18. ფურცვანიძე ბ., საბჭოთა სისხლის სამართალი, განსაკუთრებული ნაწილი., თბ 1966;
19. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის დელიქტები., თბ 2014;
20. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა., თბ 1961;
21. წერეთელი თ., ტყეშელაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე., თბ 1969;
22. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007;
23. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი., თბ 2007;
24. წერეთელი თ., მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი თ., შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ., თბ 1980;
25. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი., თბ 2010;
26. წულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ტომი I მეორე გამოცემა., თბ 2003;
27. ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დამაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ 2016 ;

ნორმატიული აქტები:

28. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექი, მიღებული 1999 წელს, 2020 წლის მდგომარეობით;

უცხოური ლიტერატურა:

29. Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010;
30. Sonnen B-R., kulturkonfikt und Verbotsirrtum, Neue Kriminalpolitik, 1990;

31. Roxin C., Strafrecht, AT, Band II, München, 2003;
32. Schönke/Schröder-stree, vor §Rn.13/Rn. 160m.w.N München 2007;
33. Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003;

სასამართლო პრაქტიკა:

34. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისიხლის სამართლის საქმეებზე 2008 № 4 ამნისტია.
35. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისიხლის სამართლის საქმეებზე 2011 № 7-9.

ვებ.გვერდები:

36. <https://link.springer.com/content/pdf/bbm%3A978-3-7091-0728-7%2F1.pdf>
37. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf>
38. <https://www.gen.ge/განსაცდელში-მიტოვება-თუ//>
39. <https://geolaw.wordpress.com/2012/11/03/kazusi/>
40. <http://www.gmtv.ge/უსაფრთხოების-წესის-დარღვევა/>
41. <https://www.geostat.ge/media/16782/danarti-marti-2016.pdf>